ჯონ
ლოგანი

წითელი

I მოქმედება

როტკო დგას, წინ იყურება. ის პირდაპირ აუდიტორიას უყურებს. (სინამდვილეში კი აკვირდება თავის ერთ-ერთ სიგრამის ნახატს, რომელიც მის წინ კიდია). პაუზა. როტკო სიგარეტს აანთებს. დიდი სათვალე და ძველი, ულაზათოდ მორგებული ტანსაცმელი აცვია, რომელსაც წებოს და საღებავის შხეფები ეტყობა. ფირსაკრავზე მშვიდი კლასიკური მუსიკა უკრავს. (როტკოს განსაკუთრებულად მოსწონდა მოცარტი და შუბერტი). როტკო სიგარეტს ეწევა. პაუზა. კარის გაღების და დახურვის ხმა ისმის ვესტიბიულის კულისების შეუმჩნეველი შესასვლელიდან. კენი, 20 წელს გადაცილებული მამაკაცი, ნერვიულად შემოდის. კოსტიუმსა და ჰალსტუხშია გამოწყობილი. სახელოსნოში აქამდე არ ყოფილა. ირგვლივ იყურება. რაღაცის თქმას აპირებს. როტკო ჟესტებით ანიშნებს, რომ ხმა არ ამოიღოს. შემდეგ მიახვედრებს, რომ მიუახლოვდეს. კენი როტკოსთან მიდის, მის გვერდით დგება. როტკო მიუთითებს ცენტრალურ ნახატზე; აუდიტორია.

როტკო. რას ხედავ? *(კენი პასუხის გაცემას აპირებს-)* მოიცადე. უფრო ახლოს დადექი. ახლოს უნდა მიხვიდე. იგრძენი მისი გულისცემა. იმოქმედოს შენზე. უფრო ახლოს. ძალიან ახლოს. ასე. ნება მიეცი დაგიპყროს. ხელები შემოგხვიოს; *ჩაგიკრას,* შენი პერიფერიული ხედვაც კი მოიცვას იმდენად, რომ მოგეჩვენოს სხვა არაფერი არსებობს არც აწმყოში, არც წარსულსა და მომავალში. დაე, ნახატმა თავისი საქმე გააკეთოს - მაგრამ თავადაც უნდა სცადო მასთან დაახლოება. ღვთის გულისათვის, სადღაც შუაში უნდა გადაიკვეთოთ. წინ გადაიხარე, მასში გადაეშვი. ყურადღება მიაპყარი ... აბა,

ახლა, რას ხედავ? - მოიცა, მოიცა, მოიცა! *(ფაციფუცით გასწევს და განათებას ოდნავ დაუწევს, შემდეგ კვლავ კენთან ბრუნდება).* აბა, ახლა რას ხედავ? - დააკონკრეტე. არა, სიზუსტე ჯობია. დააზუსტე - მაგრამ, ამასთანავე, ემპათიურობაც გამოიჩინე. გესმის? კეთილი იყავი. *ადამიანი* იყავი, სულ ეს შემიძლია ვთქვა. ცხოვრებაში ერთხელ მაინც იყავი *ადამიანი!* ეს სურათები იმსახურებენ თანაგრძნობას და მათთვის სულის შთაბერვაცა და აღსასრულიც ემპათიური მაყურებლის თვალსა და ნებაზეა დამოკიდებული. სწორედ ამის დაუცხრომელი სურვილი გამოსჭვივის მათგან. ამისთვის შეიქმნენ. სწორედ ამას იმსახურებენ... ახლა... რას ხედავ? *(პაუზა).*

კენი. წითელია.

როტკო. მაგრამ *მოგწონს?*

კენი. ჰმმ.

როტკო. ხმა ამოიღე.

კენი. დიახ.

როტკო. რა თქმა უნდა *მოგწონს* - როგორ შეიძლება არ *მოგეწონოს?!* დღესდღეობით ყველას ყველაფერი მოსწონს. მოსწონთ ტელევიზორი და ფირსაკრავი და ტკბილი გაზიანი სასმელი და შამპუნი და კრეკერ ჯეკი. ყველაფერი კარგავს თავის მნიშვნელობას, ყველაფერი ერთნაირად სასიამოვნო, ლამაზი და *მოსაწონია.* ცხოვრება მშვენიერია როცა კარგ ილუზიას გვიქმნის. სად არის გამჭრიახობა? სად არის არბიტრაჟი, რომელიც განასხვავებს იმას, რაც *მომწონს,* რასაც *პატივს ვცემ, რაც ღირებულად* მიმაჩნია და რასაც აქვს… კარგად მომისმინე … *მნიშვნელობა. (როტკო გავა და ოდნავ აუწევს განათებას, შემდეგ კი ფირსაკრავს თიშავს, და კვლავ აგრძელებს*). იქნებ მოლაპარაკე დინოზავრია. შესაძლოა, მე ვარ დინოზავრი, რომელიც საარსებოს გართმევთ ბუჩქებში დამალულ პატარა, ცბიერ ძუძუმწოვრებს, რომლებიც ელოდებით ძალაუფლების ხელში ჩაგდებას.

იქნებ მე იმ მივიწყებულ ენაზე ვლაპარაკობ, რომელიც უცნობია თქვენი თაობისთვის. მაგრამ თაობა, რომელიც არ მიისწრაფვის სერიოზულობისკენ, საზრისისკენ, არ იმსახურებს მათ კვალში სიარულს, ვინც მანამდე იყო. ვგულისხმობ მათ, ვინც იბრძოდა და სძლია, ვგულისხმობ მათ, ვინც მიისწრაფოდა მიზნისაკენ, ვგულისხმობ რემბრანდტს, ვგულისხმობ ტერნერს, მიქელანჯელოს და მატისს… ცხადია, როტკოსაც. *(დაჟინებით უყურებს კენს, იწვევს საპასუხოდ).* თავად თუ მიისწრაფვი რაიმესკენ?

კენი. დიახ.

როტკო. მაინც რისკენ? რისკენ ისწრაფვით?

კენი. მე მინდა ვიყო მხატვარი, ასე რომ, ვფიქრობ, რომ ვისწრაფვი... ხატვისკენ.

როტკო. მაშინ ეს ტანსაცმელი არ გამოგადგება. აქ სამუშაოდ ვართ. ქურთუკი გარეთ დაკიდე. ვაფასებ, რომ შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით გამოსასვლელი ტანსაცმელი გაცვია, გულზე მომხვდა, მაგრამ უადგილოა. აქ ბევრი საქმეა, ეს არ არის რომელიღაც წყეული, ძველებური სალონი ფუნთუშებითა და ლიმონათით. წადი, ქურთუკი გარეთ ჩამოკიდე. *(კენი სცენას ტოვებს, ვესტიბიულის შესასვლელისკენ გადის. ამჯერად ქურთუკის გარეშე ბრუნდება. იხსნის ჰალსტუხს და სახელოებს აიკეცავს).* სიდნიმ გითხრა რა მჭირდება აქ?

კენი. დიახ. *(როტკო თავად ახარისხებს ფუნჯებს, ალაგებს ტილოებს და ა.შ. იმავდროულად:)*

როტკო. ყოველ დილას ცხრაზე ვიწყებთ და ვმუშაობთ ხუთამდე. ზუსტად ისე როგორც ბანკირები. შენ დამეხმარები ტილოების გაჭიმვაში და საღებავების შერევასა და ფუნჯების გაწმენდაში და ტილოსთვის ჩარჩოების აწყობაში და ნახატების გადაადგილებაშიც და ასევე დამეხმარები ტილოზე პირველი ფენის დატანაში - რაც მხატვრობა *არ არის*, ასე რომ, ნებისმიერი სულელური

წარმოდგენა, რომელიც ამ დროს შეგექმნება, დაუყოვნებლივ დაივიწყე. საჭმელსაც მომიტან, სიგარეტსაც და სხვა ყველაფერს, რაც დამჭირდება ან მომინდება, ნებისმიერი სურვილი უნდა შესრულდეს როგორი რთული და უხერხულიც არ უნდა იყოს. თუ რამე არ მოგწონს, ახლავე წადი. მიპასუხე. თანახმა ხარ თუ არა.

კენი. დიახ.

როტკო. გაითვალისწინე: მე არ ვარ შენი მოძღვარი, არც მამაშენი, არც ფსიქოლოგი, არც მეგობარი და არც შენი მასწავლებელი - მე შენი უფროსი ვარ. გასაგებია?

კენი. დიახ.

როტკო. როგორც ჩემი თანაშემწე აქ ბევრ რამეს ნახავ, ბევრ გენიალურ რამეს. მაგრამ ყველაფერი საიდუმლოა. ამაზე არსად უნდა ილაპარაკო. არ გეგონოს, რომ მტრები არ მყავს და არ ვგულისხმობ მხოლოდ სხვა მხატვრებს და გალერისტებს და მუზეუმების კურატორებსა ან ხელოვნების წყეულ კრიტიკოსებს, რომ აღარაფერი ვთქვათ ამ გამუდმებით უკმაყოფილო მაყურებლებზე, რომელთაც ვეზიზღებით მეც და ჩემი ნამუშევრებიც, რადგან უგულოები არიან, არც მოთმინება გააჩნიათ, არც უნარი, რომ *იფიქრონ, გაიაზრონ,* რადგან ისინი არ არიან *ადამიანები,* როგორც წეღან გითხარი, გახსოვს?

კენი. დიახ.

როტკო. ახლა ვხატავ ნახატების სერიას - *(გარშემო ანიშნებს).* ალბათ, ოცდაათს ან ორმოცს გავაკეთებ და შემდეგ შევხედავ რომელი იქნება უკეთესი, მთლიანობაში, როგორც ფუგა კონცერტზე. შენ დამეხმარები მეორე ფენის დამატებაში, რომელზეც დავხატავ, შემდეგ შევხედავ, დავაკვირდები და კვლავ დავხატავ. ბევრ ფენას ვამატებ ხოლმე, ერთიმეორეს მიყოლებით, როგორც ლაქის თხელ ფენას, ნელ-ნელა ვქმნი

გამოსახულებას, როგორც პენტიმენტოს, ვიდრე საბოლოო ფორმის მიცემამდე ბწყინვალების ეფექტი არ ექნება.

კენი. როდის ხვდებით, რომ დასრულებულია?

როტკო. როცა ფუნჯის თითოეულ მონახაზში იგრძნობა ტრაგიკული სიღრმე.

კენ. აჰ.

როტკო. ძალიან კარგი. რამე დავლიოთ. *(როტკო ორ ჭიქა ვისკის ასხამს. ერთს კენს აწვდის. სვამენ. კენი დილაადრიან სასმელს მიჩვეული არაა. პაუზა. როტკო მას გამჭოლი მზერით უყურებს და აფასებს).* ერთ კითხვაზე მიპასუხე … არ დაფიქრდე, ის თქვი რაც თავში პირველი მოგივა. არავითარი ფილოსოფიური ნააზრევი.

კენი. კარგი.

როტკო. მზად ხარ?

კენი. დიახ.

როტკო. ვინ არის შენი საყვარელი მხატვარი?

კენი. ჯექსონ პოლოკი.

როტკო. (მტკივნეულად) აჰ.

კენი. ბოდიში.

როტკო. არა, არა -

კენი. ნება მომეცით თავიდან ვცადო.

როტკო. არა -

კენი. გთხოვთ-

როტკო. არა, სისულელეა.

კენი. მიდით, კიდევ მკითხეთ.

როტკო. ვინ არის შენი საყვარელი მხატვარი?

კენი. პიკასო. *(კენი იცინის. როტკო არა. როტკო გაბრაზებით უყურებს. კენს სიცილი გაეყინება. როტკო დააბოტებს).*

როტკო. ჰმ, პოლოკი... ყოველთვის პოლოკი. ცუდად არ გამიგო, დიდებული მხატვარი იყო, ერთად დავიწყეთ, კარგად ვიცნობდი.

კენი. როგორი იყო?

როტკო. ნიცშე წაგიკითხავს?

კენი. რა?

როტკო. ოდესმე წაგიკითხავს ნიცშე? *ტრაგედიის დაბადება?*

კენი. არა.

როტკო. და საკუთარ თავს ხელოვანს უწოდებ? მის გარეშე პოლოკზე ვერ ისაუბრებ. მის გარეშე ვერაფერზე ისაუბრებ. რას გასწავლიან ახლა სამხატვრო სკოლაში?

კენი. მე-

როტკო. ფროიდი წაგიკითხავს ოდესმე?

კენი. არა -

როტკო. იუნგი?

კენი. იცით-

როტკო. ბაირონი? უორდსვორთი? ესქილე? ტურგენევი? სოფოკლე? შოპენჰაუერი? შექსპირი? ჰამლეტი? ჰამლეტი მაინც, თუ ღმერთი გწამს! რამე მითხარი ჰამლეტიდან, ახლავე.

კენი. "ყოფნა?.. არ ყოფნა?.. საკითხავი აი ეს არის."

როტკო. და ეგ საკითხავი?

კენი. არ ვიცი.

როტკო. ბევრი რამ გაქვს სასწავლი, ახალგაზრდავ. ფილოსოფია. თეოლოგია. ლიტერატურა. პოეზია. დრამატურგია. ისტორია. არქეოლოგია. ანთროპოლოგია. მითოლოგია. მუსიკა. ეს ყველაფერი იმდენადვე სასარგებლო ინსტრუმენტია, რამდენადაც ფუნჯი და საღებავი. *ხელოვანი* ვერ იქნები, ვიდრე საკმარისად ცივილიზებული არ გახდები. სანამ არ ისწავლი, ვერ იქნები *ცივილიზებული.* ცივილიზებული რომ იყო, უნდა

იცოდე სად ხარ შენი ხელოვნებისა და სამყაროს უწყვეტობის კონტექსტში. წარსულის დასაძლევად საჭიროა, მისი გესმოდეს.

კენი. მეგონა ჩემი მასწავლებელი არ იყავით.

როტკო. წყალობაა, რომ ხელოვნებაზე გელაპარაკები.

(როტკო მოშორებით გადის. პაუზა.) რას გრძნობ?

კენი. რას ვგრძნობ? *(როტკო მიუთითებს უზარმაზარ ნახატებზე მათ გარშემო).*

როტკო. რას განიცდი როცა *მათ* ხედავ?

კენი. ცოტა დრო მჭირდება. *(კენი ოთახის შუაში გადაინაცვლებს და მზერით ნახატებში ჩაიძირება).*

როტკო. აბა?

კენი. ერთი წუთით. (პაუზა.) მღელვარებას.

როტკო. და?

კენი. დამაფიქრებელია.

როტკო. და?

კენი. ჰმ... სევდიანია.

როტკო. *ტრაგიკულია.*

კენი. დიახ.

როტკო. ესენი რესტორნისთვისაა.

კენი. რა?

როტკო. რესტორნისთვისაა მეთქი. *(როტკო იღიმის. ეს სიამოვნებას ჰგვრის.)* ერთხელაც ჩემს საქმეს ვაკეთებ და მისტერ ფილიპ ჯონსონი მირეკავს. ფილიპ ჯონსონი ხომ იცი, არა? მსოფლიოში სახელგანთქმული არქიტექტორი?

კენი. პირადად არა.

როტკო. რა თქმა უნდა, პირადად არა, შენ არავის იცნობ პირადად. ნუ მაწყვეტინებ. ფილიპ ჯონსონი მირეკავს. ის და მის ვან დერ როე ახალ სიგრამის შენობას აპროექტებენ პარკ ავენიუზე. დიდად პატივსაცემი სახელებია, არა?

ფილიპ ჯონსონი და მის ვან დერ როე, თავიანთი სფეროს ტიტანები, რევოლუციონერები. ისინი ერთად ქმნიან შენობას, რომლის მსგავსიც ჯერ არ უნახავს სამყაროს, რომელიც ასახავს არა მხოლოდ ამ ქალაქისა და მისი მაცხოვრებლების, არამედ მთელი კაცობრიობის დიად ამბიციებს. ამ შენობაში იქნება რესტორანი სახელად „ოთხი სეზონი“, ვივალდის მსგავსად, და ამ რესტორნის კედლებზე... *(ხელს გაიშვერს თავისი ნახატებისკენ. პაუზა. ამაყად.)* ოცდათხუთმეტი ათას დოლარს მთავაზობენ. სხვა ვერცერთი მხატვარი იოცნებებდა ამაზე. *(კენი აღფრთოვანებულია. ოცდათხუთმეტი ათასი დოლარი ნამდვილად დიდი თანხაა. შეიძლება, დღეს ორი მილიონი დოლარიც ყოფილიყო. როტკო ოთახის ცენტრში დადგება და თავისი ნახატების ემოციებით იმუხტება.)* ჩემი პირველი ფრესკები... წარმოიდგინე, როგორც ფრიზი მთელი ოთახის გარშემო, ერთგვარი უწყვეტი ნარატივი, რომელიც კედლებს ავსებს, ერთიმეორეს მიყოლებით, ყოველ მათგანზე ახალი თავი, ახალი ისტორია ვითარდება, შეხედავ და ხვდები, რომ ვერ გაექცევი, ვერაფერს იზამ, თითქოს განწირული ხარ.

კენი. ესენი უკვე დასრულებულია?

როტკო. პროცესში არიან. ახლა მათზე დაკვირვების დროა.

კენი. დაკვირვების?

როტკო. ფერწერა უპირველესად აზროვნებაა. ეს არ გასწავლეს? ... ტილოზე საღებავის წასმა საქმის მხოლოდ ათი პროცენტია. დანარჩენი კი ლოდინი და ფიქრია. *(როტკოს მზერა თავის ნახატებში ჩაიძირება.)* მთელი ჩემი ცხოვრება მხოლოდ ამას ვნატრობდი, ჩემო მეგობარო: შემექმნა *ადგილი…* ადგილი, სადაც მაყურებელი შეძლებდა ცხოვრებას მხატვრობასთან ერთად მასზე ფიქრის პროცესში და ზუსტად ისეთივე ყურადღებასა და გულისხმიერებას გამოიჩენდა მის მიმართ, როგორსაც მე. როგორც სამლოცველოში... ერთიანობის ადგილას.

კენი. მაგრამ...ეს ხომ რესტორანია.

როტკო. არა... მე მას ტაძრად ვაქცევ. *(პაუზა. როტკო ჩაიკარგება თავის ნახატებში. კენი წამიერად უყურებს მას. შემდეგ ფირსაკრავისკენ მიდის. ჩართავს. კლასიკური მუსიკა გაჟღერდება. როტკოს აკვირდება.)*

II მოქმედება

როტკო ცენტრში მყოფ ნახატს უყურებს; აუდიტორია. ფირსაკრავზე კლასიკური მუსიკა უკრავს. კენი შემოდის. თან პარკებით ჩინური მზა კერძები მოაქვს. ამჯერად სამუშაო ტანსაცმელი აცვია, რომელსაც საღებავისა და წებოს კვალი ეტყობა. გავიდა თვეები, მისთვის იქაურობა უფრო კომფორტული გახდა. კენი ცოტაოდენ ხურდას ჩაყრის ყავის ცარიელ ქილაში და საჭმლის ამოლაგებას იწყებს. როტკო ჩაფიქრებულია.

როტკო. რემბრანდტი და როტკო ... რემბრანდტი და როტკო... როტკო და რემბრანდტი... როტკო და რემბრანდტი... და ტერნერი. როტკო და რემბრანდტი და ტერნერი... როტკო და რემბრანდტი და ტერნერი -

კენი. - ო, ღმერთო. *(პაუზა. როტკო სიგარეტს უკიდებს.)* ჩინური მაღაზია იხურება.

როტკო. ყველაფერ ღირებულს აქვს დასასრული. ასეთია მარადიული კანონზომიერება: დაბადება, ზრდა, სიკვდილი.

კენი. კუთხეში კიდევ ერთი ჩინური მაღაზიაა.

როტკო. სამყაროს უწყვეტი ციკლი შეუქცევადია, თაობები იცვლებიან, იმედი ქრება, და მაინც, გზის ბოლოს ყოველთვის გამოჩნდება კიდევ ერთი ჩინური მაღაზია.

კენი. წვრილმანი თემების მოყვარული არ ხართ, არა?

როტკო. იმიტომ რომ წვრილმანია. *(როტკო უერთდება კენს. იგი დგას და საჭმლის უსუფთაოდ ჭამასთან ერთად საუბარს არ წყვეტს.)*

კენი. წუხელ 'მოდერნის' მუზეუმში წავედი, პიკასოს გამოფენა ვნახე.

როტკო. მერე?

კენი. არა მგონია, რომ იგი ჟამთა სვლით დიდად გატაცებული იყოს.

როტკო. თავს ნუ მოიტყუებ, შვილო. ის კაცი - თვითმარქვიაა. ეჭვგარეშეა. ფულის გამო მენიუებზე, დალის მსგავსად, ხელწერას ტოვებს, ესეც მაშინ როცა პატარა უშნო ქოთნების გაკეთებით არაა დაკავებული, რასაც, ასევე, ფულისთვის აკეთებს- ამ კაცმა საუკეთესოდ გაიაზრა დროის ფილოსოფია. ქვითარი სად არის? *(კენი აძლევს ჩინური საჭმლის ქვითარს. როტკო მას ფეხსაცმლის ყუთში ჩადებს, რომელიც სავსეა სხვა ქვითრებით, თან საუბარს აგრძელებს.)* ტრაგიკულია, ნამდვილად, როცა შენსავე სიცოცხლეში ზედმეტი ხდები. კუბიზმი გავანადგურეთ, დე კუნინგმა და მე და პოლოკმა და ბარნეტ ნიუმენმა და ყველა დანარჩენმა. ბოლო მოვუღეთ. დღეს კუბისტურ ნახატებს აღარავინ ქმნის.

კენი. თითქოს ამას სიამაყით ამბობთ. კუბიზმისთვის "ბოლოს მოღება."

როტკო. ასეა, ახალმა თაობამ უნდა იპოვოს საკუთარი გზა. იმისათვის რომ ახალი დაიბადოს, ძველი უნდა მოკვდეს.

კენი. და ეს მოგწონთ?

როტკო. არ აქვს მნიშვნელობა. გამბედაობაა მთავარი ... მხატვრობაში გამბედაობა ტილოზე მუშაობა კი არა, მანესა და ველასკესის გვერდით დგომაა. ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ აწმყოში გზა წარსულით გავიკვლიოთ და იმედი ვიქონიოთ, რომ შევიცნობთ რას გვიმზადებს მომავალი. „რანიც ყოფილა, ახლა არის, ანდაც იქნება." ეს იეიტსის სიტყვებია, არ გეცოდინება.

კენი. კი მაგრამ პიკასო- *(როტკო საჭმლის კიდევ ერთ შეკვრას გახსნის და ჭამას აგრძელებს.)*

როტკო. პიკასოს მადლიერი ვარ, რადგან მისი წყალობით მოძრაობის მნიშვნელობას ჩავწვდი. მოძრაობა არის ცხოვრების არსი. იმ წუთიდანვე, როცა ვიბადებით, სამყაროს ჩხავილით, კრუნჩხვითა და წრიალით ვეგებებით. ცხოვრება სწორედაც რომ მოძრაობაა. მოძრაობის გარეშე ნახატები რა იქნებოდა?

კენი. მკვდარი?

როტკო. ზუსტად *(თავის ნახატებზე მიუთითებს.)* ... დააკვირდი დაძაბულობას, რომელიც ფერთა ტონალობაში იკითხება: ღია და მუქი, წითელი და შავი და ყავისფერი. ისინი არსებობენ დინამიკაში - მოძრაობაში. ისინი ერთმანეთს უკავშირდებიან მატერიიდან ტილოს გავლით მაყურებლის თვალამდე. მათში იგრძნობა რხევა და მდინარება, ცვლილება და გულის ფეთქვა. რაც უფრო მეტხანს უყურებ მათ, მით უფრო მეტად მოძრაობენ ... ისინი სივრცეში ლივლივებენ, სუნთქავენ ... მოძრაობა, კომუნიკაცია, გამოხატულება, დინამიკა, ურთიერთქმედება; მათი ერთობა ქმნის ეფექტს. სტატიკურობა მათ ბუნებაში არაა, რადგან უსულონი არ არიან. თუ საშუალებას მისცემ, ისინი ფეხს აიდგამენ. ამ მოძრაობის აღქმა მყისიერად არ ხდება, დრო სჭირდება.

კენი. დრო მთავარია. დრო ხომ ყველაფერს სჭირდება.

როტკო. სწორედ ამიტომ, ჩემთვის უმთავრესია შესაბამისი გარემოს შექმნა. გარემოსი, სადაც მაყურებელი შეძლებს ნახატებს შესაბამისი დრო დაუთმოს, რათა მათზე დაფიქრდეს და სიცოცხლე შთაბეროს.

კენი. *(აღელვებული.)* მათ მაყურებელი სჭირდებათ. ესენი ხომ კლასიკურ სახვით პეიზაჟებსა და პორტრეტებს არ ჰგვანან.

როტკო. რატომ ფიქრობ ასე?

კენი. რადგან თითოეულ მათგანში იგრძნობა ცვლილება, მოძრაობა და გულისცემა. სახვითი სურათები კი უცვლელნი არიან; მათთვის აუცილებელი არაა მაყურებლის აქტიური ჩართულობა. ლუვრში შუაღამით "მონა ლიზა" ისევ იღიმის. მაგრამ ნუთუ ეს ნახატები მაშინაც ცოცხლობენ, როცა მათ გარშემო აღარავინაა? *(კენი ფიქრებში ჩაიძირება. როტკო მას კმაყოფილი უყურებს.)* ამიტომაც იყენებ ასეთ დაბალ განათებას.

როტკო. ასე ფიქრობ?

კენი. ილუზიის შესაქმნელად გჭირდებათ. თითქოს ჯადოქარი ხართ. ან

სპექტაკლს დგამთ. გინდათ, რომ იდუმალება შეინარჩუნოთ, რათა ნახატები გაცოცხლდნენ. ჩაირთვება თუ არა კაშკაშა განათება, მთელი ეფექტი იკარგება - უმალ გეჩვენება, რომ ცარიელ სცენაზე ხელოვნური კედლების გარდა სხვა აღარაფერია. *(კენი მიდის შუქის ჩამრთველთან. ყველა განათებას ერთიანად ჩართავს. უსიამოვნო ფლუორესცენტული ნათურები ინთება. ოთახის მაგიურობა იმ წამსვე ქრება.)*

როტკო. რას ხედავ?

კენი. ჯერ თვალს ვაჩვევ… უბრალოდ... თეთრს.

როტკო. რას გახსენებს თეთრი ფერი?

კენი. ძვლებს, ჩონჩხებს… მორგს... ანემიას… სისასტიკეს. *(როტკო გაკვირვებულია ამ პასუხით.)*

როტკო. მართლა?

კენი. ახლა საოპერაციო ოთახს ჰგავს.

როტკო. რას *გრძნობ* თეთრი ფერის დანახვისას?

კენი. შიშს.

როტკო. რატომ?

კენი. რა მნიშვნელობა აქვს.

როტკო. რატომ?

კენი: თოვლს ჰგავს... იმ ოთახის გარეთ, სადაც ჩემი მშობლები გარდაიცვალნენ. ზამთარი იყო. მახსოვს თოვლი ფანჯრებს მიღმა: პირქუშად თეთრი. *(ყურადღებას ნახატებს მიაპყრობს.)* ... ამ შუქში ნახატები... ერთფეროვანია… უგემოვნოა... ასეთ განათებაში მათი ხიბლი იკარგება. *(როტკო აქრობს ფლუორესცენტურ ნათურებს. ჩვეულებრივი განათება ირთვება.)*

როტკო: ხედავ რა ემართებათ? როგორი ფაქიზნი არიან? ხალხს ჰგონია, რომ ყველაფერს მე ვაკონტროლებ: განათებას, ნახატების სიმაღლეს, სივრცეს მათ ირგვლივ… ეს კონტროლი კი არა *დაცვაა.* ნახატი ცოცხლობს ურთიერთობით. იმავე პრინციპითვე კვდება. სახიფათოა მათი საზოგადოების წინაშე გამოტანა.

(კენი საჭმლის ყუთს მოისვრის და წელში გაიმართება. როტკო ახალ კლასიკურ მუსიკას ჩართავს. განაგრძობს ცენტრში მყოფი ნახატის დაკვირვებას. რამდენიმე წამი სიჩუმეა, გარემო მშვიდდება.)

კენი. ოდესმე გარეთ დაგიხატავთ?

როტკო. ბუნებაში გულისხმობ?

კენი. დიახ.

როტკო. ბუნება ვერ აღძრავს ჩემში მუზას. დღის შუქი არ მომწონს. *(კენი გამხიარულდა.)* ამდენი მწერი - აჰ! კარგად ვიცნობ ამ პლენერ მხატვრებს, ისინი უსასრულოდ ხოტბას ასხამენ მზის შუქის დიდებულებას. ამობენ: გამოდით გარეთ და ირგვლივ ბალახებში გაიარეთ; პირუტყვივით. როცა პატარა ვიყავი, გარეთ ხატვა საუკეთესო რამ მეგონა, ამიტომ ჩემს ნივთებს წავიღებდი ხოლმე, შემდეგ კი ქარი ქაღალდს ააფრიელებდა, მოლბერტს ჩამოაგდებდა და ჭიანჭველებიც საღებავში აღმოჩნებოდნენ ხოლმე. ეჰ... მაგრამ შემდეგ პირველად წავედი რომში. მივდივარ სანტა მარია დელ პოპოლოში კარავაჯოს "სავლეს მოქცევის" სანახავად, რომელიც თურმე ამ ბნელი ეკლესიის ერთ ბნელ კუთხეშია ჩამალული, დღის შუქის გარეშე. თითქოს მღვიმეში ვიყავი. მაგრამ ნახატი *ანათებდა!* ერთგვარი აღტკინებით ანათებდა.

გაითვალისწინე: კარავაჯოს დაევალა ამ კონკრეტული ადგილისთვის სურათის დახატვა, სხვა არჩევანი არ ჰქონდა. წარმოიდგინე, ის იქ დგას და ირგვლივ იყურება. გარშემო ისეთი სიბნელე იყო, ოკეანის სიღრმეს მოგაგონებდა. როგორ უნდა დაეხატა? ის თავის შემოქმედს შეევედრება: "ღმერთო, დაეხმარე შენს უღირს ცოდვილს. მითხარი, დიადო ღმერთო, რა ჯანდაბა ვქნა ახლა?!" *(კენი იცინის.)* შემდეგ კი უცებ ჩნდება ღვთაებრივი ნაპერწკალი. იგი *შინაგანად* ასხივოსნებს ნახატს. მას *შინაგან* სიკაშკაშეს ანიჭებს. და ნახატიც *ცოცხლდება...* როგორც ოკეანის ფსკერიდან მანათობელი თევზი, რომელიც საკუთარ ელვარებას ასხივებს. ხვდები?

კარავაჯო იყო - *(იგი მოულოდნელად ჩერდება. კენი მას უყურებს. პაუზა. როტკო თავის ნახატს მიაშტერდება. თავს ხრის. თითქოს უსმენს. თითქოს რაღაც ახალს ხედავს ნახატში.)* მეორე სათლი მომიტანე. *(აღელვებულ კენს მოაქვს ფუნჯი და* სათლი *მუქი შინდისფერი საღებავით.)*

კენი. მართლა აპირებ დახატვას?

როტკო. როგორ ფიქრობ, აქამდე რა ჯანდაბას ვაკეთებდი?! *(კენი უკან იხევს. ყურადღებით აკვირდება როტკოს. როტკო ხუთ დუიმიან კედლის სამღებრო ფუნჯს საღებავში ჩადებს. სრულ მზადყოფნაშია. ერთი წუთით გაყინული დგას. მხოლოდ მისი მარჯვე თვალები მოძრაობს ტილოზე. საღებავი წვეთავს. კენი სუნთქვაშეკრულია. როტკო დაძაბულია. თავს ხრის, აკვირდება, აფასებს.* სათლში *საღებავების ფერს აფასებს. რაღაც აკლია.)* მომაწოდე ნომერი ოთხი შავი და პირველი შინდისფერი. *(კენს მოაქვს ძველ ქილებში მოთავსებული ფხვიერი პიგმენტები. როტკო მითითებებს იძლევა, თითქმის კვლავ უმოძრაოდაა. მზერა საღებავის სათლიდან კვლავ ტილოზე გადააქვს.)* ცოტა შავიც. *(კენი ამატებს ცოტა შავ პიგმენტს, ფრთხილად ურევს.)* ისევ იგივე რაოდენობა. *(კენი დაამატებს ცოტას, აგრძელებს მორევას.)* ორჯერ მეტი შინდისფერი. *(კენი ამატებს შინდისფერ პიგმენტს, აგრძელებს მორევას. როტკო ყოყმანობს. ნახატს ათვალიერებს. რამდენიმე წუთი გადის. ნელ-ნელა სასოწარკვეთილებასა და იმედგაცრუებას გრძნობს.)* მიდი… მიდი... კარგი რაა.. რა აკლია?

კენი. წითელი.

როტკო. შენთვის არ მიკითხავს! *(პაუზა. როტკო მიხვდა, რომ, საუბედუროდ, მნიშვნელოვანი მომენტი ხელიდან გამოეცალა. იგი ხელის ერთი მოძრაობით მოისვრის ფუნჯს. საღებავი გარშემო მიმოიღვრება. როტკო კენისკენ შემობრუნდება.)* ასეთი რამ მეორედ აღარ გაბედო! *(ბრაზისგან ოთახში წინ და უკან მშფოთვარედ დააბიჯებს.)* რა უფლებით ლაპარაკობ?! რა უფლებით გამოთქვამ აზრს ჩემს ნამუშევარზე? შენ ვინ

ჯანდაბა ხარ? რა გაგიკეთებია? რა გინახავს? რით დაიმსახურე, რომ ახლა აქ ხარ, ჩემთან და ამ ნამუშევრებთან, რომელთა არსიც კი არ გესმის?! "წითელი"?! გინდა თავად დახატო?! ხოდა მიდი - აი წითელი! *(უხეშად მიუგდებს წითელი ფერის რამდენიმე შეკვრას.)* და წითელი! კიდევ წითელი! და ისევ წითელი! – არც კი ვიცი რას ნიშნავს ეს! რას ნიშნავს ჩემთვის "წითელი"? რა იგულისხმე: ალისფერი? ლალისფერი? ქლიავისფერი? მეწამულისფერი? ჟოლოსფერი? ღვინისფერი? ორაგულისფერი? ბროწეულისფერი? სინგურისფერი? მარჯნისფერი? ყველაფერი გარდა "წითლისა." მაინც რა არის "წითელი"?! *(როტკო დგას, სულს მოითქვამს, თავი ხელში აჰყავს. პაუზა. კენი იღებს საღებავის შეკვრას იატაკიდან. როტკო დააბოტებს. უკმაყოფილოა. პაუზა.)*

კენი. განთიადი ვიგულისხმე.

როტკო. განთიადი?

კენი. განთიადის წითელი… მისი შეგრძნება.

როტკო. *(ცინიკურად)* ჰო, "მისი შეგრძნება." *(პაუზა. კენი აგრძელებს ნივთების შეგროვებას, გააქვს საღებავების სათლი და ფუნჯი.)* რას გულისხმობ მის შეგრძნებაში?

კენი. მხოლოდ წითელ საღებავს არ ვგულისხმობდი. ვფიქრობდი წითელი ფერის იმ ემოციაზე, მზის ამოსვლას რომ ახლავს თან.

როტკო. განთიადი წითელი არ არის.

კენი. დიახ, არის.

როტკო. გეუბნები, რომ არაა.

კენი: განთიადი წითელია, წითელი კი— განთიადია. *(კენი აგრძელებს ოთახის დასუფთავებას.)* წითელი გულისცემაა. წითელი ვნებაა. წითელი ღვინო. წითელი ვარდები. წითელი პომადა. ჭარხალი. ტიტები. წიწაკები.

როტკო: არტერიული სისხლი.

კენი: ეგეც. *(როტკო ფიქრობს.)*

როტკო: ჟანგი ველოსიპედზე, ეზოში.

კენი: და ვაშლები... და პომიდვრები.

როტკო: დრეზდენის ცეცხლოვანი შტორმი ღამით. მზე რუსოს ნახატზე, დროშა დელაკრუას ტილოზე, მანტია ელ გრეკოსთან.

კენი: კურდღლის ცხვირი. ალბინოსის თვალები. პარაკეტი.

როტკო: ფლორენციული მარმარილო. ატომური ნათება. გაპარსვისას გაჭრილი კანი, ბარბაზოლის ქაფში შერეული სისხლი.

კენი: ლალისფერი ქოშები.[1] ტექნიკოლორი. ან ის ტელეფონი კრემლში პრეზიდენტის მაგიდაზე.

როტკო. რუსეთის დროშა, ნაცისტური დროშა, ჩინეთის დროშა.

კენი. ხურმა. ბროწეული. წითელი ფარნების კვარტალი. წითელი ლენტი.[2] რუჟი.

როტკო. ლავა. ლობსტერები. მორიელები.

კენი. გაჩერების ნიშანი. სპორტული ავტომობილი. ალმურმოდებული სახე.

როტკო. შინაგანი ორგანოები. ცეცხლის ალი. ფოვისტების ნახატები.

კენი. შუქნიშანი. თმა ტიციანის ტილოზე.

როტკო. დასერილი მაჯები. ნიჟარაში დაღვრილი სისხლი.

კენი. სანტა კლაუსი.

როტკო. სატანა. *(პაუზა.)* ისეთი… წითელია.

კენი. ზუსტად. *(ღრმად ჩაფიქრებული როტკო უყურებს თავის ნახატს.)*

როტკო. არის კიდევ სიგარეტი? *(კენი იღებს სიგარეტის კოლოფს უჯრიდან და როტკოს მიაწოდებს. როტკო ხსნის შეფუთვას და სიგარეტს მოუკიდებს, იმავდროულად:)* და მაინც, ყველაზე უფრო მეტად წითელი იცი რა არის?

კენი. რა?

---

[1] იგულისხმება ფილმიდან "ოზის ჯადოქარი" წითელი ფეხსაცმელები.

[2] იგულისხმება "ბიუროკრატია." კონტექსტში წითელი ფერის სერიულად გამოყენების მნიშვნელობის გამო საჭირო გახდა პირდაპირი თარგმანის გამოყენება.

როტკო. მატისის ნახატი" *წითელი სტუდია.*" ამ ნახატში თავისივე სტუდიაა ასახული. კედლები კაშკაშა წითელია, იატაკიც და ავეჯიც, ყველაფერი წითელია, თითქოს შინაგანად ასხივებდა ამ ფერს და გარშემო ყველაფერი შთანთქა. როდესაც "*მოდერნში"* პირველად გამოფინეს ეს ნახატი, საათობით ვუყურებდი. ყოველდღე მივდიოდი... შეიძლება ითქვას, რომ ჩემი დღევანდელი ნამუშევრების გული იმ ნახატის ტრადიციით ძგერს, რომელის წინაშეც საათობით ვიდექი, რათა გამეცოცხლებინა და შემეგრძნო მისი არსი. რაც უფრო მეტხანს ვაკვირდებოდი, მით უფრო მეჩვენებოდა, რომ მის გულისცემას ვგრძნობდი, მისით სრულად ვიყავი მოცული, თითქოს თავის სიღრმეებში ჩამითრია... მან წითელი ფერის სრულიად ახალი განზომილება შექმნა, ფერთა დინამიკური ფენები, ისეთი ღრმა ემოცია! *(პაუზა. როტკო ზის ძველ სავარძელში, უყურებს ცენტრალურ ნახატს. ღონემიხდილი და დათრგუნული კენი გრძნობს როტკოს განწყობის ცვლილებას. როტკო იხსნის თავის მსხვილმინებიან სათვალეს და მაისურზე იწმენდს, თან აგრძელებს:)* ეს დიდი ხნის წინათ იყო.

კენი: ის ჯერ კიდევ იქ არის.

როტკო: ახლა ვეღარ ვუყურებ.

კენი: რატომ?

როტკო: ძალიან დამთრგუნველია.

კენი: როგორ შეიძლება მატისის წითელი დამთრგუნველი იყოს?

როტკო: თითქოს წითელს ვეღარ ვხედავ… თუნდაც იმ ნახატში, რომელიც მთლიანად წითელ ფერშია ჩაძირული… კარადის ზემოთ თარო, ცენტრის ხაზზე ცოტათი მაღლა, გაწყობილი ყვითელი ფერის კონტრასტით სხვა დანარჩენთან. მასაც სწორედ ეს უნდოდა, მისი ტყვე გამხდარიყავი.

კენი: რისი?

როტკო: შავის.

კენი: შავი ფერის?

როტკო: შავის არსის. *(პაუზა.)* ცხოვრებაში მხოლოდ ერთი რამ მაშინებს, მეგობარო... რომ ერთ დღესაც შავი შთანთქავს წითელს. *(ის კვლავ იკეთებს სათვალეს და უყურებს თავის ნახატს.)*

III მოქმედება

კენი მარტოა. ის ღუმელში თუ ქურაზე შემოდგმულ დიდ ქვაბში სითხეს ათბობს და თან ურევს. ეს ნარევი იქნება საწყისი ფენა ახალი ტილოსათვის. ყავისფერ ქაღალდში გახვეული პატარა ნახატი მოშორებით შეუმჩნევლადაა განთავსებული. კენი მორევას აგრძელებს, თან ტელეფონზე ლაპარაკობს.

კენი. *(ტელეფონზე.)* ... შენთვის ამის თქმა მარტივია, მას ხომ არ იცნობ. *(თვალი შეავლო შეფუთულ ნახატს.)* ... ვაჩვენებ, როგორც კი შესაბამისი მომენტი გამოჩნდება. იცის, რომ მხატვარი ვარ; ეს მოულოდნელი არ უნდა იყოს, ხომ ასეა? ... არა, არა, მის განწყობაზეა დამოკიდებული ... ნუ მეუბნები რა გავაკეთო! შენც მას ჰგავხარ ... *(როტკოს ნაბიჯების ხმა გაისმის. ტელეფონზე:)* მოვიდა. გეტყვი, როგორ ჩაივლის. ჩემთვის ილოცე. *(ყურმილს დაკიდებს. როტკო შემოდის, თან ტილოს საწყისი ფენისათვის მასალა მოაქვს. შეფუთულ ნახატს ვერ ამჩნევს.)* დილა მშვიდობისა.

როტკო. დილა მშვიდობისა. კიდევ ერთი შინდისფერიც მოვიტანე... მორევას მე გავაგრძელებ, შენ ტილო დაამთავრე. *(როტკო მიდის ქვაბთან და ურევს. ახალ შინდისფერ პიგმენტს ნარევში ამატებს. თითქოს ჯადოსნურ სასმელს ამზადებს, ერთმანეთში ურევს წებოს, ქიმიკატებს, ცარცს, უმ კვერცხს და სხვა ფხვიერ პიგმენტებს. კენი ახალ ტილოს ამზადებს, ჭიმავს და ამაგრებს ჩარჩოზე. ტილო კვადრატული ფორმისაა, დაახლოებით ექვსი ფუტი სიგრძე-სიგანისა, ან უფრო დიდიც.)* გუშინ ღამით სიგრამის შენობასთან ჩავიარე, მუშაობა დაწყებულია.

კენი. რესტორანზე რას იტყვი?

როტკო. ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესშია, თუმცა დამათვალიერებინეს და დაახლოებით წარმოვიდგინე.

კენი. და?

როტკო. ზედმეტი დღის შუქია, როგორც ყოველთვის, მაგრამ რაღაც მაინც

გამოვა. ნახატების დანახვა მთავარი სასადილო ოთახიდანაც შეიძლება. რამდენიმე ესკიზი გავაკეთე, მოვძებნი რომ გაჩვენო.

კენი. არასდროს გიფიქრია, რომ შესაძლოა ეს ადგილი მათთვის შესაბამისი არაა?

როტკო. როგორ შეიძლება ეს ადგილი შეუფერებელი იყოს, როდესაც მათ სწორედ ამისთვის ვქმნი? ზოგჯერ შენი ლოგიკა მაოგნებს.

(როტკო მიდის ფირსაკრავთან და გრამფირფიტებს ათვალიერებს. კენი კვლავ აქეთ-იქით იყურება შეფუთულ ნახატზე. მოვიდა კი ის მომენტი როცა უნდა ახსენოს? არა. ჯერ ვერ მოიკრიბა გამბედაობა. როტკო არჩევს კლასიკურ ჩანაწერს და რთავს. შემდეგ კვლავ აგრძელებს ნაზავის მორევას. პაუზა.)

კენი. მოკლედ, ნიცშე წავიკითხე. *ტრაგედიის დაბადება*, როგორც მითხარი.

როტკო. როგორც გითხარი?

კენი. შენ თქვი, რომ თუ ჯექსონ პოლოკის შესახებ მეტის შეტყობა მინდოდა, *ტრაგედიის დაბადება* უნდა წამეკითხა.

როტკო. ეგ მე ვთქვი?

კენი. კი.

როტკო. არ მახსოვს. თუმცა ჩემს სიტყვებს ნამდვილად ჰგავს.

კენი. აბა, რას მეტყვი პოლოკზე?

როტკო. ჯერ ის მითხარი წიგნზე რა აზრის ხარ.

კენი. საინტერესოა.

როტკო. ეს არაფრით განსხვავდება შენი პასუხისგან "წითელი." ნუ ხარ ასეთი იდუმალი; ამისთვის ზედმეტად ახალგაზრდა ხარ.

კენი: მგონი, ვხვდები რატომაც გინდოდა, რომ წამეკითხა.

როტკო: რატომ?

კენი: რადგან შენს თავს აპოლონთან აკავშირებ, ხოლო მას - დიონისესთან.

როტკო: ძალიან ზედაპირულად აფასებ. უკეთ დაფიქრდი. *(როტკო ნარევს*

ტერპენტინს უმატებს და და აკვირდება მოსარევი ჯოხიდან გადმოღვრილი სითხის კონსისტენციას. უნდა, რომ თხელი იყოს, ლაქივით გამჭვირვალე. კენი წყვეტს მუშაობას.)

კენი: დიონისე თრობისა და თავშეუკავებლობის ღმერთია; მოძრაობისა და ტრანსფორმაციის. ესეც პოლოკი: ბობოქარი, მეამბოხე, გონებადაკარგული და თავშეუკავებელი. ჭეშმარიტი გამოცდილებაა თავისთავად… აპოლონი წესრიგის, კონტროლისა და საზღვრების ღმერთია. და აი როტკოც: ინტელექტუალი, შემგონებელი, თავდაჭერილი და გაწონასწორებული. ფიქრნარევი ჭეშმარიტი გამოცდილებაა. ის ხატავს, შენ კი მის შეცნობას ცდილობ. ის დიონისეა, შენ კი- აპოლონი.

როტკო: ზუსტად ასეა, თუმცა მთავარი იდეა გამოგრჩა.

კენი: მაინც რომელი?

როტკო: შენ ტრაგედიას ვერ ხედავ. მთავარი აზრი ყოველთვის ტრაგედიაა.

კენი: მხოლოდ შენთვის.

როტკო: გგონია, ასე მარტივად შეიძლება ადამიანების დაყოფა ხასიათების მიხედვით? მართლა გგონია, რომ ფსიქიკის მრავალმხრივი სირთულეები და ნიუანსები – ათასობით თაობა რომ გასდევს თან, რომელიც გაუკუღმართებული და შერყვნილია კოლექტიური შფოთვითა და თვითგვემით, რომელიც გამოწრთობილია რწმენითა და ურწმუნობით – ასე ზედაპირულად შეიძლება შეაფასო? პოლოკი არის გრძნობა, ხოლო როტკო – ინტელექტი? თავს ირცხვენ… მეტად დაუფიქრდი. *(ტილოზე მუშაობის პარალელურად კენი ფიქრობს. როტკო აგრძელებს საღებავის მორევას, დროდადრო კენისკენ იყურება. კენი შეჩერდება.)*

კენი: შეიძლება ეს შენი ნახატებივით არის.

როტკო: როგორც წესი ასეა. და მაინც როგორ?

კენი: ბნელი და ნათელი, წესრიგი და ქაოსი, ყველაფერი ერთდროულად და ერთ განზომილებაში არსებობს, თითქოს გამუდმებით იმღვრევიან

ერთმანეთში. ჩვენც მათსავით ვართ; ჩვენში ორივე საწყისია: აპოლონურიც და დიონისურიც და არა მხოლოდ ერთი ან მეორე. ჩვენ ვიცვლებით და ვმოძრაობთ, როგორც ფერები შენს ნახატებში, დიონისური ექსტაზი აპოლონური კონტროლის წინააღმდეგ.

როტკო. ეს წინააღმდეგობა არაა.

კენი. არაა?

როტკო. ეს კონფლიქტი კი არა უფრო სიმბიოზია.

კენი. მათ ერთმანეთი სჭირდებათ. დიონისური ვნებათაღელვა ითოკება და იმართება აპოლონური ქმნადობის ნებით. ფაქტობრივად, აპოლონური გონიერება და კონტროლის ძალა განაპირობებს იმას, რომ *ვუმკლავდებით* დიონისური ემოციების მოზღვავებულ ტალღას, რომელიც სხვა შემთხვევაში მთლიანად დაგვიმორჩილებდა… ასე რომ, წინ და უკან, ერთი მითოსური ისტორიიდან მეორისკენ ვმონაცვლეობთ, როგორც გულისცემის რითმი.[3]

როტკო. სრულყოფილად დაბალანსებული იდეალური ცხოვრება მათ შორის იქნებოდა, მუდამ გზაგასაყარზე. მაგრამ ჩვენი *ტრაგედია* ისაა, რომ ასეთ ბალანსს ვერასდროს მივაღწევთ. ჩვენი ყოფა - ყველა ჩვენგანის, ნებისმიერ დროს - მარადიული დისონანსია... ჩვენ ველტვით გრძნობათა დაუფარავ ჭეშმარიტებას, მაგრამ მხოლოდ გონების პირქუშ სიცრუესთან ერთად შეგვიძლია მასთან შეგუება. ჩვენ ვცდილობთ, აღვბეჭდოთ და ტილოზე გადავიტანოთ საკვირველებანი, ეფემერული მომენტები, რომ შევაჩეროთ დრო, მაგრამ, როგორც პეპელა, რომელსაც ენტომოლოგი ქინძის თავებით ამაგრებს, ის კვდება როგორც კი ვცდილობთ, რომ... ჩვენ ასეთი სულელები ვართ, ჩვენ, ადამიანები... ჩვენ ვცდილობთ, რომ წითელი

[3] მითოსურ ისტორიებში იგულისხმება დიონისეს და აპოლონის მითოლოგიური სახეები და მათი სიმბოლიკა. მათ ისტორიებში მონაცვლეობა კი ნიშნავს, რომ ადამიანები, როგორც არაერთგვაროვანი ქმნილებები, გამუდმებით განიცდიან ამ ორი საწყისის გავლენას.

ვაქციოთ შავად.

კენი: მაგრამ შავი ყოველთვისაა სადმე, როგორც მატისის ნახატის თაროზე.

როტკო: როგორც თოვლი ფანჯრის მიღმა. ის არასდროს ქრება. როგორც კი შევამჩნევთ, შეუძლებელია მისი დავიწყება, რადგან მუდამ მიგვანიშნებს სიკვდილზე, რომელიც… (ხელს იშვერს: ყველგანაა.)... მაგრამ მაინც ვცოცხლობთ, ვეჭიდებით იმ მცირე იმედს - იმ წითელს - რომელიც ამ ყველაფერს ასატანს ხდის.

კენი: ან, უბრალოდ, ნაკლებად აუტანელს.

როტკო: აი, ესეც ჩემი მეგობარი ჯექსონ პოლოკი. ბოლოს მისთვის ეს უბრალოდ აუტანელი გახდა.

კენი: რას გულისხმობ?

როტკო: მის სუიციდს.

კენი: მას სუიციდი არ ჩაუდენია.

როტკო: მართლა? *(კენი დაფიქრდება, თან ტილოს მოჭიმვას აგრძელებს. როტკო უკმაყოფილოა მუსიკით. იგი სხვა კლასიკურ ჩანაწერს რთავს. ცოტა ხანს უსმენს და შემდეგ ნაზავის მორევას განაგრძობს.)*

კენი: ჯექსონ პოლოკი ავარიაში დაიღუპა.

როტკო: ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში სვამს, ყოველდღე მთვრალია. შემდეგ ჯდება კაბრიოლეტ ოლდსმობილში და გარეუბნის გზებზე, როგორც გიჟი, მიფრინავს. მითხარი, რა არის ეს, თუ არა ერთგვარი სუიციდი... დამიჯერე, როცა სუიციდს ჩავიდენ, ეჭვი არავის გაუჩნდება. არანაირი მისტიკურად დამტვრეული მანქანა თხრილში. არავითარი "თავი მოიკლა თუ არა." თავს მატკივებს ისეთი მოსაწყენია.

კენი: „როცა" თვითმკვლელობას ჩაიდენ?

როტკო: რა?

კენი: ასე თქვი: „როცა თვითმკვლელობას ჩავიდენ."

როტკო: არა, არ მითქვამს.

კენი: დიახ, თქვი.

როტკო: მოგესმა ... ერთ რამეს გეტყვი შენს გმირზე – ის ნამდვილად გადაიკვეთა თავის ტრაგედიასთან. მას მამაცურად დაუპირისპირდა, როგორც შეძლო გაუმკლავდა, შემდეგ კი ცხოვრებისგან სცადა გაქცევა, მაგრამ როგორ მოახერხებდა? ის ხომ ჯექსონ პოლოკი იყო.

კენი: რა იყო მისი ტრაგედიის მიზეზი?

როტკო: ის, რომ ცნობილი გახდა.

კენი: ასე გულგრილად ნუ იტყვი.

როტკო: მისმა მუზამ დატოვა. თავისი ხელწერა მობეზრდა. საკუთარი თავით დაიღალა. მაყურებელის რწმენაც დაკარგა ... თავად გადაწყვიტე რომელია... აღარ სჯეროდა, რომ ნახატების სანახავად კიდევ არსებობდნენ ნამდვილი ადამიანები.

კენი: როგორ შეიძლება ეს დაემართოს ადამიანს?

როტკო: ის უფრო უნდა გიკვირდეს, უფრო ხშირად რატომ არ ხდება ასე.

კენი: მე იმას ვამბობ, რომ ის ხომ ხელოვანია, ის ხომ ჟურნალ „ლაიფშია," ახალგაზრდაა, ცნობილია, ფული აქვს –

როტკო. სწორედ ასეა. წარმოიდგინე ვაიომინგელი უმეცარი კაცი, რომელსაც ხატვა შეუძლია. უეცრად კი პოპულარული *პროდუქტი* ხდება. აი, ეს „ჯექსონ პოლოკია". ერთ რამეს გეტყვი, ახალგაზრდავ, პოლოკი ნამდვილად ოლდსმობილით მოკვდა. არა იმიტომ, რომ მანქანა ავარიისას დაიმტვრა, არამედ იმიტომ, რომ საერთოდ *არსებობდა.* რა ჯანდაბისთვის სჭირდებოდა ჯექსონ პოლოკს კაბრიოლეტი ოლდსმობილი?

კენი. ანუ, გამოდის, მხატვრებმა სიღატაკეში უნდა იცხოვრონ?

როტკო. დიახ, მხატვრები უნდა კმაყოფილდებოდნენ მინიმალური ყოფით. ჩემ გარდა. *(კენს ეღიმება. მან ტილოს გამართვა დაასრულა.)*

კენი. შეხედე. *(როტკო ტილოსკენ მიდის, ყურადღებით ათვალიერებს და გვერდიდან უყურებს, რომ რაიმე ხარვეზი არ გამოეპაროს.)*

როტკო. ჯექსონი გეყვარებოდა. ქალაქის გულის ადამიანი იყო, ნამდვილი ბოჰემიელი. დამიჯერე, მას არ ახასიათებდა ფიქსირებული რუტინით მუშაობა. ყოველ ღამე სმა, ლაპარაკი, ჩხუბი, ცეკვა და გვიანობამდე სიფხიზლე — ზუსტად ისეთია როგორიც საზოგადოების რომანტიზირებული აღქმა ნამდვილი მხატვრისა: როტკოს საპირისპირო… მისი ყველაზე ცუდი მხარეც კი შეგიყვარდებოდა, რადგან ის ხელოვნებით ძლიერ გატაცებული იყო. მას ეგონა, რომ ამას ყველაზე დიდი *მნიშვნელობა* ჰქონდა. ეგონა, რომ ხატვას მნიშვნელობა ჰქონდა… ნუთუ ეს ტკივილი გულს არ გიტეხს? ამ ამბავს ტრაგედიის გარდა სხვა დასასრული არ ჰქონდა. *(პაუზა.)* გოიამ თქვა, "ხელოვნება არსებობს იმისათვის, რომ სიმართლემ არ დაგვღუპოს." პოლოკმა სიმართლე დაინახა. თავის დასაცავად კი მისთვის ხელოვნება აღარ არსებობდა... ამის გადატანას ვინ შეძლებდა? *(პაუზა. როტკო ფიქრს წყვეტს. კენს ნიშანს აძლევს. ისინი ტილოს იატაკიდან იღებენ, ხის ჩარჩოზე, მოლბერტზე ან კედელზე ადებენ. როტკო გულდასმით აკვირდება ტილოს. ტილოს ნაზად აცლის ბუსუსებს. სულის ფრთხილი შებერვით ასუფთავებს მტვრისგან. ისევ ტილოს აკვირდება.)* გასულ კვირას სახლისკენ მოვდიოდი და ერთმა წყვილმა ჩაიარა. ქალი ფანჯარაში იყურება და ამბობს: „საინტერესოა, ვინ ფლობს ყველა ამ როტკოს?" ... აი ასე, ახლა უკვე ბრენდულ სახელად ვიქეცი- როტკო.

კენი: პროდუქტად.

როტკო: როგორც მოჩუქურთმებული ჩარჩო.[4]

კენი: რა? *(როტკო გულდასმით აკვირდება ცარიელ ტილოს, რათა არ გამორჩეს ნაკლი, ფერის ცვლილება, დეფექტი. ნახატს უახლოვდება, უკან იხევს, კვლავ ახლოს მიდის, თავს აქნევს და აფასებს.)*

როტკო: მოჩუქურთმებული ჩარჩო. ის ნახატები, რომლებიც განწირულია

[4] იგულისხმება ბუხრის თავზე დეკორაციული მიზნით გაკეთებული ჩარჩო, ან სარკე, რომლის ერთადერთი ფუნქციაც ოთახში ლამაზი ელემენტების შემოტანა არის.

დეკორაციად ქცევისათვის. როგორც ბუხრის თავზე განთავსებული დეკორაციები პენტჰაუსში. გეუბნებიან: "რაღაც მჭირდება, რაც დივანს მოუხდება, ხომ გესმით. ან რაღაც ნათელი და მხიარული სასადილო კუთხისთვის, ნარინჯისფერი უმჯობესია. გაქვთ რამე ნარინჯისფერში? ან მუქ ქარვისფერში? ან პიტნისფერ მწვანეში? აი, შერვინ-უილიამსის საღებავის ნიმუში. და თუ შეგიძლიათ, რომ ტუმბოს მოუხდინოთ?“ ან კიდევ უარესი: "ძვირფასო, ერთი ასეთი აუცილებლად უნდა მქონდეს, რადგან ჩემს მეზობელს აქვს, იმ სოციალური კლასისთვის გაყიდულ[5] კახპას. საერთოდაც, თუ მას ერთი აქვს, მე სამი მჭირდება!"... ან კიდევ უარესი: "მინდა, რადგან ნიუ იორკ თაიმსისგან გავიგე, რომ უნდა მქონდეს - ან ვიღაცამ მითხრა, რომ ნიუ იორკ თაიმსის მიხედვით, აუცილებლად უნდა მქონდეს, იმიტომ რომ ამის თავად წასაკითხად დრო არ მქონდა.”… "ოჰ, ნუ მაიძულებ ამის ყურებას! ვერ შევხედავ! ძალიან დეპრესიულია!"... "აი, ასეთი გაურკვეველი მართკუთხედების გაკეთება ჩემს შვილსაც შეეძლო საბავშვო ბაღში, ეს უბრალოდ თაღლითობაა, ეს კაცი კი- მატყუარა." ... მიუხედავად ამისა, მაინც ყიდულობენ ... ეს ხომ ინვესტიციაა ... მეზობლების დაჩრდილვაა… კლასის ყიდვაა ... გემოვნების შეძენაა ... ლამპასაც უხდება ... პოლოკზე იაფია ... ეს ინტერიერის დეკორაციაა ... ერთი სიტყვით, ყველაფერია იმის გარდა, რასაც სინამდვილეში წარმოადგენს.

(პაუზა. როტკოს ეტყობოდა, რომ ტილოთი კმაყოფილი იყო.) კარგი, კარგი. ტილოს დაგრუნტვის დროა. (ერთად მუშაობას იწყებენ. ეს ხშირად განხორციელებული პრაქტიკაა, რომელთან შეხებაც ბევრჯერ ჰქონიათ. ღუმელიდან გადმოღებული წებო-საღებავის ნარევს ასხამენ - ტილოს საწყისი ფენისთვის - ორი დიდ სათლში. ლაქივით თხელი კონსისტენციის ნაზავი მუქი ქლიავიისფერი შეფერილობისაა. შემდეგ სათლი მიაქვთ 6

[5] იგულისხმება ისეთი ადამიანი, რომელიც ცდილობს თავისი სოციალური სტატუსის ამაღლებას ხშირად მაღალი სტატუსის მქონე ადამიანებთან ურთიერთობის ფონზე ან ისეთი ქცევებისა და ცხოვრების სტილის მიბაძვით, რომელიც მიმზიდველად და მაღალი კლასის შესაბამისად მიიჩნევა. აქვს ნეგატიური დატვირთვა.

ფუტი სიგრძე-სიგანის ტილოს ორივე მხარეს. ამოწმებენ, რომ ტილო კარგად იყოს მოჭიმული. ისინი ამზადებენ კედლის სამღებრო ფუნჯებს. როტკო ფუნჯს ატრიალებს ხელში, რათა დაარბილოს მისი ბოლოები. კენი ელოდება. მზადაა. როტკო ყურადღებით აკვირდება ცარიელ ტილოს. დიდხანს ჩერდება, ფუნჯს ხელში გამალებით ატრიალებს წინ და უკან. ფიქრობს. კენი უყურებს, სრულ მზადყოფნაშია. შემდეგ როტკო მიდის ფირსაკრავთან, გრამფირფიტებში იქექება, პოულობს სასურველს და ფირსაკრავზე ათავსებს. ისარს ჩამოწევს. უსმენს. კვლავ აწევს ისარს. ზუსტად იმ მონაკვეთს იპოვის, რომელსაც ელოდებოდა. ისარს კვლავ ჩამოწევს. ენერგიული კლასიკური მუსიკა ირთვება. ტილოზე გადაინაცვლებს. კენს თავით ანიშნებს. მზად ხარ? მზადაა. ფუნჯებს საღებავში ამოავლებენ. ტილოს სხვადასხვა მხარეს დგანან. კენი მოიხრება, რადგან ის ტილოს ქვედა ნაწილზე იმუშავებს. როტკო გამართული დგას; ტილოს ზედა ნაწილს მოხატავს. კენი ელოდება როდის დაიწყებს როტკო. როტკო მუსიკას ელოდება. სრული თეატრალური მზაობით არჩევს ზუსტ დროს, როდესაც მუსიკა დრამატულობის პიკს მიაღწევს და შემდეგ - იწყებს ხატვას - ძალიან სწრაფად მოძრაობს - ფუნჯის ძლიერი და ფართო მონახაზებით ტილოს ზედა მხარეს უსწრაფესად მოხატავს - მასიური, ჰორიზონტალური მოძრაობებით- ჩქარობს რათა დარწმუნდეს, რომ საწყისი ფენა თანაბარი და გლუვია- კენიც იგივეს აკეთებს ქვედა ნაწილში - როტკოს საღებავი წვეთავს და კენს ეშხეფება- ეს ქორეოგრაფიას ჰგავს, ისინი სინქრონულად მოძრაობენ, ერთმანეთისკენ მიიწევენ და იკვეთებიან, როტკო უკან იხევს და ხატვას განაგრძობს, საშუალებას აძლევს კენს, რომ თავისუფლად იმუშაოს ქვედა მხარეზე- თხევადი საღებავი წვეთავს და ეშხეფება გარშემო როგორც კი ფუნჯებს ასველებენ და ტილოზე გაშმაგებით გაიბრძოლებენ - ეს მძიმე, სწრაფი და ამაღელვებელი საქმეა - მუსიკა მძაფრდება - და ბოლოს ამთავრებენ. თეთრი ტილო გარდაიქმნა

ერთგვაროვან, მუქ ქლიავისფერ სიბრტყედ. როტკო უკან იხევს, დაქანცულია და მძიმედ სუნთქავს. კენი ძირს დაეშვება, ისიც ძალაგამოცლილია. პაუზა. როტკო სიგარეტს მოუკიდებს. შემდეგ ფირსაკრავს გამორთავს. კენი დგება და პირსახოცით თავს იწესრიგებს. მერე კი იცვლის საღებავით დასვრილ პერანგს. იქაურობის წესრიგში მოყვანას ცდილობს: სათლები გააქვს, იატაკს წმენდს, ფუნჯებს ასუფთავებს. როტკო დეტალურად აკვირდება ახლახანს დასრულებულ ტილოს. შემდეგ უკან-უკან იხევს, რათა ტილო შორიდანაც აღიქვას. ფიქრებში იძირება.) ჰმ… იქნებ ივარგოს... იქნებ ვარგოდეს… ალბათ საკმარისი იქნება... შენ რას ფიქრობ?

კენი. ჩემზე ამბობ? ჩემგან გაინტერესებს პასუხი?

როტკო. სხვა ვისგან?

კენი. … კარგი ფონია, ძალიან კარგი დასაწყისი გამოვიდა. ერთგვაროვანი და ლამაზია.

როტკო. ვნახოთ, როდესაც გაშრება. ხატვას შემდეგ შევუდგები.

კენი. ჩემი აზრი მართლა გაინტერესებს?

როტკო. საერთოდ არა. *(კენს ეღიმება, დალაგებას აგრძელებს. შემდეგ უცებ ჩერდება. ახლად შეღებილ ტილოზე რაღაც ახსენდება. დაჟინებით უყურებს. უეცრად თვალები ცრემლით ევსება. ემოცია მოულოდნელად ეუფლება.)* რა მოხდა?

კენი. არაფერი...

როტკო. რა მოხდა მეთქი?

კენი. უცნაურია... რაღაც მახსენდება… ეს ფერი... ჰგავს…

როტკო. რას?

კენი. არ აქვს მნიშვნელობა.

როტკო. რას?

კენი. გამხმარ სისხლს... როცა სისხლი გახმა, უფრო გამუქდა. ხალიჩაზე.

როტკო. რომელ ხალიჩაზე?

კენი. რომელზეც ჩემი მშობლები დაიღუპნენ. *(კენი ცდილობს ფიქრები გაფანტოს. აქეთ-იქით დადის, მაგრამ ისევ ჩერდება. ემოციებს ვერ იკავებს. მისი ყურადღება კვლავ ტილოზე გადაერთვება.)* ზუსტად ეს ფერი იყო. როცა სისხლი გახმა, *გამუქდა,* ამან გამაოცა. მახსოვს, მაშინ ძალიან გამიკვირდა… *(როტკო დაინტერესებულია.)*

როტკო. რა შეემთხვათ შენ მშობლებს?

კენი. არ მინდა ამაზე ლაპარაკი.

როტკო. კი, გინდა.

კენი. მოკლეს.

როტკო. მოკლეს?

კენი. აჰამ.

როტკო. რამდენი წლის იყავი?

კენი. შვიდის. აიოვაში მოხდა.

როტკო. მაინც რა მოხდა?

კენი. დეტალები კარგად არ მახსოვს.

როტკო: რა თქმა უნდა, გახსოვს. *(კენი წინ იყურება, ჩაფიქრებული. პაუზა.)* რას ხედავ? *(კენი თავს აქნევს.)* რას ხედავ მეთქი? *(პაუზა.)*

კენი: *(თავიდან უბრუნდება განცდები.)* გავიღვიძე... პირველი რაც დავინახე, ფანჯრის მიღმა თოვლი იყო. გამიხარდა, რომ თოვდა, რადგან შაბათი იყო და სასრიალოდ წასვლა შემეძლო. მამაჩემს მივყავდით ხოლმე სასრიალოდ, მე და ჩემი და. მაგრამ... მაგრამ... არაფრის სუნი მცემდა, რაც უჩვეულო იყო. ჩვეულებრივ, დედა ადრიანად იღვიძებდა და საუზმეს ამზადებდა. გამაყრუებელი სიჩუმე იყო. ჩუსტები ჩავიცვი — მყარი რეზინისგან დამზადებული, რომლებიც მოკასინებს წააგავდნენ. დერეფანში გავედი... ძალიან სიჩუმეა… და *სიცივეც.* ვგრძნობ, რომ სადღაც ფანჯარაა ღია... მერე ვხედავ ჩემს დას, დერეფანში გაშეშებული დგას და მშობლების საძინებლისკენ იყურება. კარი ღიაა. ჩემი და... დგას შარდის გუბეში.

უბრალოდ დგას და იყურება. მისი თვალები... კართან მივდივარ, ვიყურები და პირველად თოვლს ვხედავ, ფანჯრის მიღმა, დიდი თოვლია, ალბათ მაინც გავალთ სასრიალოდ. მერე კი სისხლს ვხედავ. საწოლი სისხლით არის მოსვრილი. და კედელიც. მშობლები საწოლზე არიან... დანაც იყო... თურმე დანა ყოფილა, მოგვიანებით გავიგე. *(პაუზა.)* ქურდები ყოფილან, მინიმუმ ორი... მაგრამ იმ მომენტში არ ვიცოდი რა უნდა მექნა. უბრალოდ ვხედავდი... არ მინდოდა ჩემ პატარა დას კიდევ დაენახა. ჩემი პატარა და... ვბრუნდები და გარეთ გამყავს და კარს ვხურავ. კარის სახელური... სისხლიანი... წითელია. *(პაუზა.)* სულ ესაა.

როტკო: მერე რა მოხდა?

კენი. ამ ყველაფრის შემდეგ? ჰმ… არაფერი განსაკუთრებული. მეზობლებთან მივედით. პოლიციაში დარეკეს.

როტკო. მერე თქვენ ორს რა ბედი გეწიათ?

კენი. სახელმწიფო მზრუნველობაში წაგვიყვანეს. ბავშვთა თავშესაფარში. კარგი ადამიანები იყვნენ, მართლა. მე და ჩემი და ერთად ვიყავით. მაგრამ ხშირად გვიწევდა საცხოვრებლის გამოცვლა. უთვისტომოები ვიყავით… ჩემი და ბუღალტერს გაჰყვა ცოლად.

როტკო. უთვისტომოები?

კენი. თითქოს გაუცხოებული ვიყავი… საკუთარ ადგილს ვერ ვპოულობდი.

როტკო. ისინი თუ იპოვეს, ვინც ეს ჩაიდინა?

კენი. ვერა. ხანდახან მათ პორტრეტებს ვხატავ. *(პაუზა.)*

როტკო. იმ ხალხის პორტრეტებს ხატავ, ვინც შენი მშობლები მოკლა?

კენი. ჰო. როგორებიც წარმომიდგენია რომ იქნებოდნენ.

როტკო. მაინც როგორი? *(პაუზა.)*

კენი. ჩვეულებრივი. *(პაუზა. როტკო თითქოს დააპირებს კენი ანუგეშოს, მაგრამ არაფერს აკეთებს. მოშორებით გადის, სიგარეტს მოუკიდებს.)*

როტკო. როცა ბავშვი ვიყავი რუსეთში, კაზაკებს ვხედავდი, ადამიანებს

ანაწევრებდნენ და ორმოებში ყრიდნენ… ყოველ შემთხვევაში, მგონია, რომ ამას ვხედავდი, ან შეიძლება ვინმემ მითხრა, ან უბრალოდ ზედმეტად დრამატული ვარ, ზოგჯერ რთულია ამის გარჩევა. *(კენი შვებას გრძნობს, რომ როტკომ თემა შეცვალა. დალაგებას აგრძელებს.)*

კენი. რამდენი წლის იყავი, როცა აქ ჩამოხვედი?

როტკო. ათის. პორტლენდში წავედით, ლაპარაკისა და ფიქრის მოყვარულ, ებრაელებთან ერთად გეტოში ვცხოვრობდით. მაშინ მარკუს როტკოვიცი მერქვა.

კენი. *(გაოცებით.)* სახელი შეიცვალე?

როტკო: ჩემმა პირველმა მედიატორმა მითხრა, რომ ზედმეტად ბევრი ებრაელი მხატვარი ჰყავდა სიაში. ასე რომ, მარკუს როტკოვიცი გახდა მარკ როტკო. ახლა აღარავინ იცის, რომ ებრაელი ვარ! *(კენი იღიმის. ის აგრძელებს დალაგებას. პაუზა.)*

კენი: შეიძლება რაღაც გკითხო?

როტკო: შემიძლია უარი გითხრა?

კენი: მართლა გეშინია შავის?

როტკო: არა, მე სინათლის არარსებობის მეშინია.

კენი: როგორც სიბრმავისას?

როტკო: როგორც სიკვდილისას.

კენი: ანუ შავს სიკვდილთან აიგივებ?

როტკო: განა ყველასთვის ასე არაა?

კენი: მე თქვენ გეკითხებით. *(როტკოს მოსწონს, რომ კენი წინააღმდეგობას უწევს.)*

როტკო: დიახ, შავს ვაიგივებ სასიცოცხლო ძალის შემცირებასთან.

კენი: შავი კვდომას და სიბნელეს ნიშნავს?

როტკო: სხვაგვარად ფიქრობ?

კენი: რადგან შავი, შეიძლება ითქვას, წითლის არარსებობაა.

როტკო: იმიტომ, რომ შავი წითლის საპირისპიროა. არა სპექტრზე, არამედ რეალობაში.

კენი: მე მხატვრობაზე ვლაპარაკობ.

როტკო: მაშინ ილაპარაკე.

კენი: შენს სურათებში მკვეთრი ფერები დიონისური ელემენტია, რომელიც გამოკვეთილ გეომეტრიულ ფორმებში ჩაქსოვილი აპოლონური ელემენტებით ბალანსდება. კაშკაშა ფერები შენი ვნებაა, გადარჩენის სურვილი - შენი "სასიცოცხლო ძალა." მაგრამ თუ *შავი* ამ კაშკაშა ფერებს შთანთქავს, მაშინ იმ დიონისურ თავისუფლებას და ექსტრავაგანტულობას დაკარგავ და რა დაგრჩება?

როტკო: განაგრძე. მოხიბლული ვარ საკუთარი შესაძლებლობებით.

კენი: *(მტკიცედ.)* თუ ამ ფერებს დაკარგავ, დაგრჩება უშინაარსო წყობა. როგორც მათემატიკა ციფრების გარეშე. სრული სიცარიელე.

როტკო: და დამიჯერე, ასაკის მატებასთან ერთად, უფრო და უფრო რთულდება ფერების შენარჩუნება. აღმქმელობაც ქვეითდება, ჩვენ კი იქამდე ვცდილობთ მასზე მოჭიდებას, ვიდრე საბოლოოდ გამოგვეცლება ხელიდან.

კენი: მაგრამ... *(ჩერდება.)*

როტკო: რა?

კენი: არაფერი.

როტკო: რა იყო?

კენი: გაბრაზდები.

როტკო: მე?

კენი: დიახ.

როტკო: და?

კენი: ვფიქრობ, შავი ფერის სიკვდილთან გატოლება ცოტა სენტიმენტალურია. ეს ძალიან ძველმოდური მიგნებაა. რაღაც გაგებით

რომანტიკულიც.

როტკო: რომანტიკული?

კენი: იმას ვამბობ, რომ… *ავთენტური* არ არის.

როტკო: მართლა?

კენი: სინამდვილეში ორივეს გვესმის, რომ შავი - ეს უბრალოდ გამოსახვის ინსტრუმენტია, როგორც ჟანგისფერი ან თუნდაც ჟოლოსფერი. არავითარი გავლენა არ გააჩნია. მისი ავბედითად აღქმა ერთგვარი ქრომატული ანთროპომორფიზმია.

როტკო: ასე გგონია? თეთრის სიკვდილთან დაკავშირებაზე რას იტყვი? ისევე როგორც თოვლთან.

კენი: ეს სხვაა. ეს უბრალოდ პირადი რეაქციაა. ისე არაა თითქოს ამის გარშემო მთელ მხატვრულ ხედვას ვქმნი.

როტკო: იქნებ ასეც უნდა იყოს. *(მათ შორის ცხარე კამათია.)*

კენი: მე არ ვფიქრობ-

როტკო: შენი ცხოვრებით იხელმძღვანელე, რატომაც არა?

კენი: ისე არ არის თითქოს…

როტკო: თუ, რა თქმა უნდა, ამის არ გეშინია.

კენი: არ მეშინია.

როტკო: მაშინ ბოლომდე მიჰყევი თეთრს.

კენი: არ მეშინია, ეს ყველაფერი ეგოცენტრულობაა.

როტკო: როგორც იტყვი.

კენი: არაა აუცილებელი ხელოვნების ყოველი გამოვლინება ფსიქოდრამად იქცეს.

როტკო: და ასე არაა?

კენი: არა.

როტკო: ეს შენ ხატავ იმ ადამიანების სურათებს, რომლებმაც შენი მშობლები მოკლეს.

კენი: მხოლოდ ამას არ ვხატავ.

როტკო: იქნებ სწორედ მანდ ცდები. იქნებ მერე მაინც გაგეგო რა არის შავის არსი.

კენი: ისევ იგივეს უბრუნდები.

როტკო: ყოველთვის.

კენი: სხვა თუ არაფერი, თეთრის სიკვდილთან ასოცირება არც ისეთი ბანალურია.

როტკო: უკვე ბანალურიც გავხდი?

კენი: შეიძლება ითქვას.

როტკო: არაავთენტური და ბანალური.

კენი: კარგი რა, როგორც კი ხელოვანი სიბერისკენ მიდის მის ნამუშევრებში შავი ფერი იწყებს დომინირებას, და როგორც კლიშე: ის დეპრესიული ხდება, სიკვდილის შიში უჩნდება, კარგავს კონტაქტს, რელევანტურობას და თითქოს გემშვიდობება.

როტკო: ზოგჯერ ეს კლიშეა, ზოგჯერ კი- არა.

კენი: მაგრამ ეს არ არის *სიმართლე.*

როტკო: მაშ იცი რა არის სიმართლე?

კენი: ვან გოგს შევხედოთ; მისი ბოლო ნახატები მთლიანად ფერადია. იგი დგას და ხატავს ყველაზე ემოციური ყვითელითა და ლურჯით, რაც კი ოდესმე ადამიანის ხელით შექმნილა- შემდეგ კი თავს იკლავს… ან მატისი გავიხსენოთ, მისი ბოლო ნამუშევრები ძირითად ფერთა მოზღვავებული ტალღაა.

როტკო: ესე იგი ფერები აღგაგზნებს.

კენი: ასეა.

როტკო: რატომ?

კენი: იცი, მატისი… ის კვდებოდა, იცოდა, რომ კვდებოდა, მაგრამ მაინც მატისი იყო. როცა ავადმყოფობის გამო ფუნჯის ხელში დაჭერა აღარ

შეეძლო, მაკრატელს იყენებდა, ქაღალდს ჭრიდა და კოლაჟებს აკეთებდა. არასდროს დანებებულა. სასიკვდილო სარეცელზე მყოფიც კი აგრძელებდა ფერთა კომპოზიციების შეხამებას. ის ზუსტად ისეთი იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო.

როტკო: და შენ ფიქრობ, რომ *მე* რომანტიკოსი ვარ! ამაზე უკეთესის მოფიქრება ვერ შეძელი? *(აგრძელებს გაბრაზებული და დამცინავი ტონით.)* მატისი, *მომაკვდავი გმირი,* რომელიც ბოლო ძალებით იბრძვის მისი საბოლოო შედევრის შესაქმნელად… ჯექსონ პოლოკი, მშვენიერი *განწირული ახალგაზრდა,* რომელიც კვდება, როგორც ჩეთერტონი პიეტას პოზაში. და ვან გოგი, რაღა თქმა უნდა. ვან გოგი, უნივერსალური სიმბოლო, რომელიც ყოველთვის ყველა სიტუაციაში აქტუალურია. ვან გოგი – *დაუფასებელი წამებული* – შენ ამ ადამიანებს შეურაცხყოფ, როცა მათ ამ არაფრისმთქმელ სტერეოტიპებამდე აკნინებ. შეგიძლია ჩაუღრმავდე, იკამათო, მაგრამ არც კი გაიფიქრო, რომ მათი გაგება შეძელი. არ გეგონოს, რომ მათ არსს ჩაწვდი. ისინი შენზე მაღლა დგანან. *(მოშორებით გადის, შემდეგ ჩერდება.)* მთელი ცხოვრება მათ მიუძღვენი და იქნებ ერთი წუთით მაინც იგრძნო მათი ტკივილი… მანამდე კი დუმილით პატივი მიაგე მათ სიდიადეს. *(როტკო განაგრძობს თავის ცენტრალურ ნახატზე დაკვირვებას.)* დუმილი ყველაზე სწორია. *(პაუზა. როტკო, როგორც ჩანს, კენს ყურადღებას აღარ აქცევს. კენი ცოტახანს კიდევ ალაგებს. შემდეგ ჩერდება, თავის ნახატს უყურებს, რომელიც ყავისფერ ქაღალდშია გახვეული. შემდეგ როტკოს შეხედავს. კენი შეუმჩნევლად იღებს თავის ნახატს და დროებით გადის. მალევე ნახატის გარეშე ბრუნდება.)*

კენი. ყავა კარგი იქნებოდა. წინააღმდეგი ხომ არ ხარ რომ გავიდე?

როტკო. წადი. *(კენი ფულს იღებს ყავის ქილიდან, სადაც ცოტაოდენ თანხას ინახავენ. გასვლას აპირებს, როტკო აჩერებს.)* მოიცადე. *(როტკო უყურებს.)* ლონდონში, ეროვნულ გალერეაში, არის რემბრანდტის ნახატი,

სახელწოდებით “ბალთაზარის ნადიმი”… მასზე დანიელ წინასწარმეტყველის წიგნიდან ძველი აღთქმის ისტორიაა ასახული: ბალთაზარი, ბაბილონის მეფე, ნადიმს მართავს და მკრეხელობს, რის შედეგადაც ღვთიური ხელით კედელზე ებრაული წარწერები გამოისახება გაფრთხილების ნიშნად... ნახატში ეს სიტყვები ტილოს სიბნელიდან ამოანათებს, როგორც სასწაული. რემბრანდტის ებრაული, რამდენადაც წარმოდგენა შეიძლება, საშინელებაა. მან დაწერა: “მენე, მენე, თეკელ, უფარსინ." … „სასწორზე აიწონე და მსუბუქი აღმოჩნდი.” *(პაუზა.)* აი, ეს არის ჩემთვის შავი... შენთვის რას ნიშნავს? *(პაუზა)*

IV მოქმედება

კენი მარტო მუშაობს, ტილოსთვის ხის ჩარჩოს აკეთებს. ის კარგი დურგალია. ფირსაკრავზე ჩეტ ბეიკერი ან მსგავსი სტილის ჯაზია ჩართული. კენი მდუმარედ მუშაობს. პაუზა. გარედან კარის მიჯახუნების ხმა შეაშფოთებს. როტკო გაბრაზებული შემოდის, პალტოს და ქუდს მოისვრის.

როტკო. ჩემი სიკვდილი უნდათ! ღმერთს გეფიცები, ნამდვილად მომკლავენ! ეს უფანტაზიო არსებები! ეს თავხედი, ამპარტავანი, კარიერისტი *ნაძირლები!* – ეს ხომ იგივე კედლებია, სადაც ჩემი ნამუშევრებია! წარმოგიდგენია?! *ჩემი* გალერეა! *ჩემი* კედლები! ახლა ისეთი უსუფთაო, ისეთი დაბინძურებულია, როგორიც ისტ-რივერი, რომელიც ნაგვითაა სავსე. მთელი ეს ზედაპირული, უშინაარსო ნაგავი კედელზეა გამოფენილი! იმავე წმინდა სივრცეშია, სადაც დე კუნინგი და მოტერუელი და სმიტი და ნიუმენი და პოლოკი არიან... *(ჩერდება.)* ეს რა მუსიკაა?

კენი. ჩეტ ბეიკერი.

როტკო. არადა მეგონა, დღეს ამაზე უარესი ვერაფერი მოხდებოდა…

კენი. ჯაზია.

როტკო. როცა ქირას შენ გადაიხდი, მუსიკასაც მაშინ აარჩევ. *(კენი იღებს გრამფირფიტას. როტკო ბრაზობს. პაუზა.)*

კენი. აბა… გამოფენა როგორ მოგეწონა? *(როტკო უკმაყოფილოა. სიგარეტს უკიდებს.)*

როტკო. *(სერიოზული ტონით.)* ეს ახალგაზრდა ხელოვანები ჩემს მოკვლას ცდილობენ.

კენი. მგონი, ცოტა გადაჭარბებული ნათქვამია.

როტკო. მაგრამ არა უსამართლო.

კენი. ფიქრობ, რომ ჯასპერ ჯოუნზი თქვენს მოკვლას ცდილობს?

როტკო. დიახ. *(პაუზა.)*

კენი. ფრენკ სტელა?

როტკო. დიახ.

კენი. რობერტ რაუშენბერგიც?

როტკო. დიახ.

კენი. როი ლიხტენშტეინიც?

როტკო. ეგ რომელია?

კენი. კომიქსებიდან.

როტკო. გასაგებია. *(პაუზა. საბოლოო დარტყმა.)*

კენი. ენდი უორჰოლი? (როტკო არაფერს პასუხობს.) მოხუცივით ლაპარაკობ.

როტკო. იმიტომ რომ მოხუცი ვარ.

კენი. არც იმდენად.

როტკო. დღეს ვარ.

კენი. როგორც იტყვი. *(კენი უბრუნდება ჩარჩოზე მუშაობას. როტკო ვისკის ისხამს.)*

როტკო. მე იმას ვფიქრობ, რომ ... ხალხს ვუყვარვარ... ჩემ თანატოლებს, ჩემ კოლეგებს... იმ მხატვრებს, რომლებიც ჩემთან ერთად გაიზარდნენ. ყველას ერთი რამ გვქონდა საერთო... ჩვენ ზუსტად გვესმოდა *სერიოზულობის* მნიშვნელობა. *(პაუზა.)*

კენი. ძალიან აჭარბებთ.

როტკო. რა?

კენი. გასაგებად ვთქვი. *(როტკო შებრუნდება და ამჯერად მას უყურებს. კენისგან ასეთი გამომწვევი ტონი სიახლე იყო.)*

როტკო. რა მითხარი?

კენი. რა უფლებით წყვეტთ მათი შემოქმედება სერიოზულია თუ არა?

როტკო. მათ ნამუშევრებს შეხედე.

კენი. ვნახე.

როტკო. იმედია, ისე არა როგორც გჩვევია ხოლმე, როგორც გადაჭარბებული ენთუზიაზმით აღსავსე სტუდენტს.

კენი. ვნახე.

როტკო. მაშინ მითხარი რა დაინახე?

კენი. მნიშვნელობა არ აქვს.

როტკო. აქვს. რა დაინახე მათში?

კენი. აწმყო, დღევანდელი დღე.

როტკო. ყველა იმ დროშებში და კომიქსებსა და ქილებში?

კენი. აწმყო და ცოტა მომავალიც.

როტკო. და ფიქრობ, რომ ისინი კარგია?

კენი. არც კარგია და არც ცუდი. ეს ისაა, რაც ხალხს უნდა.

როტკო. მეც ამას ვამბობ.

კენი. მაშ რა გამოდის, ხელოვნება პოპულარული არ უნდა იყოს?

როტკო. ხელოვნება *მხოლოდ* პოპულარული არ უნდა იყოს.

კენი. შესაძლოა არ გსიამოვნებთ, მაგრამ დღესდღეობით ადამიანებს ზუსტად ისე აღაფრთოვანებთ ფრენკ სტელა, როგორც მარკ როტკო.

როტკო. რა სისულელეა.

კენი. მე ასე არ ვფიქრობ.

როტკო. იცი ამ მხატვრების პრობლემა რა არის? ზუსტად ის, რაც თავად თქვი: ისინი ხატავენ ამ მომენტისთვის, დღევანდელი დღისთვის. მორჩა, სულ ესაა. ეს კი სხვა არაფერია თუ არა დრომოჭმული ხელოვნება. აბსოლუტურად დროებითი და ერთჯერადია, როგორც კლინექსი, როგორც...

კენი. როგორც კამპბელის ქილები, როგორც კომიქსები -

როტკო. მართლა გგონია, რომ ენდი უორჰოლი ისევ მუზეუმებში იქნება ასი

წლის შემდეგ? ბრეიგელისა და ვერმეერის გვერდით?

კენი. ის ახლა როტკოს გვერდით კიდია.

როტკო. იმიტომ, რომ ეს წყეული გალერეები ყველაფერზე თანახმა არიან ფულის გამო - ნებისმიერ უგემოვნობაზე ხუჭავენ თვალს. ეს ბიზნესია, ახალგაზრდავ, და არა ხელოვნება! *(კენი უახლოვდება. არ აპირებს უკან დახევას.)*

კენი. ოდესმე შეწყვეტთ იმის ახსნას თუ რა არის ხელოვნება?

როტკო. არა, არასდროს. სანამ არ მოისმენენ. უკეთესი იქნებოდა, რომ შენ აგეხსნა? თავიდან მომწყდი.

კენი. უბრალოდ ბრაზდებით, რადგან კარზე ბარბაროსები მოგადგნენ. და თქვენ იცით, რომ ხალხს ბარბაროსები ურჩევნია.

როტკო. რა თქმა უნდა, *ურჩევნიათ.* მთელი აზრი ესაა! იცი, რა მოსწონს ხალხს? მხიარული, ნათელი ფერები. ისინი თვლიან, რომ ყველაფერი *ლამაზი* უნდა იყოს. ყველაფერი *მშვენიერი* უნდათ. ღმერთო ჩემო, როცა ვინმე მეუბნება, რომ ჩემი ნახატი "მშვენიერია", თავს ძლივს ვიკავებ, რომ გული არ ამერიოს.

კენი. და რას ხედავთ ცუდს…

როტკო. *(გაოფთრებული)* "ლამაზი." "მშვენიერი." "სასიამოვნო." "კარგი." თურმე როგორია ჩვენი ცხოვრება! ყველაფერი "კარგია." სასაცილო ნიღაბს ვირგებთ, რაღაც სისულელეს გავაკეთებთ და ტელევიზია ყველაფერს კომიკურად წარმოაჩენს და ხალხიც იცინის. ეს ყველაფერი მხიარულების გამო ხდება, ბედნიერება ჩვენს კონსტიტუციურ უფლებად იქცა, არაა? ჩვენ გავხდით ხელოვნურად მომღიმარი ერი, რომელიც "კარგად ყოფნის" ტირანიის ქვეშ ცხოვრობს. "როგორ ხარ?" კარგად. "დღემ როგორ ჩაიარა?" კარგად. "თავს როგორ გრძნობ?" კარგად. "როგორ მოგეწონა ნახატი?" კარგია. "ხომ არ ისადილებდი?" კარგი ... იცი რა, ერთ რამეს გეტყვი, *ყველაფერი კარგად არაა! (ნახატებისკენ შებრუნდება.) როგორ ხარ?! ... დღემ როგორ*

ჩაიარა?! ... თავს როგორ გრძნობ?! დაძაბულად. არაერთგვაროვნად. შემაშფოთებლად. ავად. სასოწარკვეთილად. კარგად არ ვარ. კარგად არავინ ვართ. კარგად ყონფის გარდა ყველაფერს განვიცდით ... ამ ნახატებს შეხედე. *შეხედე!* ხედავ ამ მუქ მართკუთხედს? თითქოს კარია, რაღაც ნაპრალი, დიახ, მაგრამ ასევე ჰგავს ფართოდ გაღებულ პირს, რომლისგანაც ამომავალ ჩუმ ყვირილში რაღაც ულმობელი, აუტანელი, პირველყოფილური და, ამავდროულად, ძალიან *რეალური* იგრძნობა. არც სასიამოვნო. არც კარგი. არამედ რეალური. აღტყინებული გმინვა. რაღაც ღვთაებრივიც და შერისხულიც. რაღაც მარადიული, რაც ჩემზე აღმატებულიცაა და დროზეც, არა როგორც კომიქსები ან ქილები. და ეს რაც არ უნდა იყოს, არც ლამაზია და არც- კარგი... *(კენს მკერდში ხელს ჩაავლებს.)* ... მე იმისთვის ვქმნი, რომ შენი გული ავათრთოლო... *(შუბლზე თითს აჭერს.)* - მე იმისთვის ვქმნი, რომ დაგაფიქრო! ... ლამაზი ნახატების შექმნა არაა ჩემი საქმე. *(პაუზა. როტკო დააბოტებს, აღელვებული, ცდილობს, თავი ხელში აიყვანოს. კენი უძრავადაა.)*

კენი. კუბისტებიც ასე ამბობდნენ, ვიდრე, როგორც თავად თქვით, ბოლოს მოუღებდით. *(როტკო ჩერდება, კენს უყურებს.)* "ტრაგიკულია, ნამდვილად, როცა შენსავე სიცოცხლეში ზედმეტი ხდები" ... ხომ ასეა? ... "იმისათვის რომ ახალი დაიბადოს, ძველი უნდა მოკვდეს" ... ეს ხომ თქვენი სიტყვებია? ... თქვენ კუბისტებსა და სიურეალისტებს ბრძოლა გამოუცხადეთ და ეს დიდ კმაყოფილებასაც განიჭებდათ. ახლა კი თქვენი დრო როცა მოვიდა, წასვლა არ გინდათ. აი, კულისების კარი, როტკო. იმიტომ რომ პოპ-არტმა ჩაანაცვლა აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი... ღმერთს მხოლოდ იმას ვთხოვ, რომ მათ შენზე მეტი სულგრძელობა გამოიჩინონ, ღირსეულად გაგაცილონ. *(გარშემო ნახატებს შეავლებს თვალს.)* გაითვალისწინე: მომაკვდავი მოძრაობის ბოლო ამოსუნთქვაა… სრული ამაოება. (პაუზა.) თუმცა არ იდარდოთ, ყოველთვის შეგიძლიათ ფულის საშოვნელად მენიუზე ხელმოწერა.

როტკო. როგორ ბედავ?

კენი. იცი სად ვცხოვრობ?

როტკო. *(დაბნეულად.)* რა?

კენი. იცი სად ვცხოვრობ ამ ქალაქში?

როტკო. არა...

კენი. გარეუბანში? ცენტრში? ბრუკლინში?

როტკო: არა.

კენი: იცი დაოჯახებული ვარ თუ არა??

როტკო: რა?

კენი: იცი მყავს თუ არა ცოლი? ვინმეს თუ ვხვდები? ჰომოსექსუალი ვარ თუ არა? ან ნებისმიერი რამ?

როტკო: არა. რატომ უნდა…?

კენი: ორი წელია რაც აქ ვმუშაობ. დღეში რვა საათი, კვირაში ხუთი დღე და ჩემზე არაფერი იცი. ერთხელ მაინც შემოგითავაზებია, რომ გვესადილა? ან სახლში დაგიპატიჟებივარ?

როტკო: რა არის - ?

კენი: იცი, რომ მხატვარი ვარ?

როტკო: დავუშვათ ასეა.

კენი: არა, მიპასუხე, იცით, რომ მხატვარი ვარ?

როტკო: დიახ.

კენი: ერთხელ მაინც გამოგითქვამს სურვილი, რომ ჩემი ნამუშევრები გენახა?

როტკო: და ეგ რატომ უნდა გამეკეთებინა?

კენი: რატომ უნდა გაგეკეთებინა?

როტკო: შენ ჩემთვის მუშაობ. მთავარი მე ვარ. აქ ყველაფერის ცენტრში მე ვდგავარ. არ მოგწონს?- წადი... გამოდის, ეს იყო ამ ყოველივეს მიზეზი? პატარა ბავშვი გულნატკენია, რადგან მამიკომ თავზე ხელი არ გადაუსვა?

დედიკო არ ჩაგეხუტა დღეს?

კენი: საკმარისია!

როტკო: მე ნუ დამადანაშაულებ, მათი სისხლი ჩემს ხელებზე არაა.

კენი: გაჩუმდი!

როტკო: ჩემთან წუწუნი შეწყვიტე და ფსიქიატრთან წადი, შენი მოთხოვნები მღლის -

კენი (გაგიჟდა):გღლის?! ეს შენ გღლის?! ღმერთო დიდებულო, ერთხელ სცადე, იმუშავო შენნაირთან სარჩოსათვის! დაუსრულებლად ლაპარაკი-ლაპარაკი-ლაპარაკი- ღმერთო ჩემო, გაუთავებელი ყბედობა საკუთარი თავით შეპყრობილი ადამიანისა. თავი ინტელექტუალად მოგაქვთ, მაშინ როცა ერთი უბრალო სოლიფსისტური აგრესორი ხართ საკუთარი მნიშვნელობის გადაჭარბებული აღქმითა და ნოტაციებით და არიებით და ამ შენი "-მოდი-ვუყუროთ-ამ-წყეულ-ტილოს-კიდევ-რამდენიმე-კვირა-და-არაფერი-დავხატოთ-მხოლოდ-ვუყუროთ" დამოკიდებულებით. რომ აღარაფერი ვთქვათ *პრეტენზიულობაზე!* ღმერთო ჩემო, ეს *პრეტენზიები!* ერთი მხატვარიც კი არ მახსენდება ხელოვნების ისტორიაში, რომელიც ასე გამეტებით ცდილობდა ყოფილიყო *მნიშვნელოვანი! (ბრაზმორეული აქეთ-იქით დადის.)* არაა აუცილებელი, ყველაფერი ყოველთვის ამდენად *მნიშვნელოვანი* იყოს! არაა საჭირო, ყოველმა ნახატმა გამოხატოს შენი შინაგანი სამყარო! ყველას არ უნდა ხელოვნება, რომელიც ამდენად *მტკივნეულია!* ზოგჯერ მხოლოდ წყეულ ნატურმორტს, პეიზაჟს, ქილებს ან თუნდაც კომიქსებს გინდა, რომ უყურო. ამას აუცილებლად გაიგებდი ოდესმე ამ შენი უჰაერო *ციხიდან* რომ გასულიყავი, სადაც არც ფანჯრებია ღია და არც- მზის სინათლე- *იმიტომ რომ მზის სინათლე შენთვის საკმარისად კარგი არ არის. (როტკო სიგარეტს უკიდებს. კენის ყურებას განაგრძობს.)* მაგრამ შენთვის არასდროს *არაფერია* საკმარისი! არც ის ადამიანები, რომლებიც თქვენს ნახატებს ყიდულობენ! მუზეუმები

მხოლოდ მავზოლეუმებია, გალერეები მატერიალისტებისა და თვითმარქვიების მიერ იმართება, ხოლო კოლექციონერები კი სოციალური კლასისთვის გაყიდული ზედაპირული ადამიანები არიან. ვინ არის საკმარისად კარგი, რომ შენი შემოქმედების ღირსი იყოს?! არის ვინმე?! *(ჩერდება, მშვიდდება, უფიქრდება.)* იქნებ საკითხავი ისაა: არის კი ვინმე საკმარისად კარგი, რომ საერთოდ *იხილოს* შენი შემოქმედება? ... იქნებ არავინ იმსახურებს შენი ნახატების ნახვას? ... ხომ ასეა? ... ჩვენ ყველანი "სასწორზე ავიწონეთ და მსუბუქნი აღმოვჩნდით." *(როტკოს უახლოვდება.)* ამბობ, რომ მთელი ცხოვრებაა "ნამდვილ ადამიანებს" ეძებთ, მათ, ვინც შენი ნახატების მიმართ თანაგრძნობას გამოიჩენს. მაგრამ გულის სიღრმეში უკვე აღარ გჯერა, რომ ასეთი ადამიანები არსებობენ... ამიტომ რწმენა დაკარგე... იმედიც გაგიქრა... ასე რომ, შავმა წითელი შთანთქა. *(პაუზა. კენი როტკოს პირისპირ დგას.)* მეგობარო, ვფიქრობ, შენს თვალწინაც რომ იდგეს ნამდვილი ადამიანი, მაინც ვერ იცნობდი. *(პაუზა.როტკოს პირქუში მზერა, რომელიც განაჩენივით ხვდება კენს, თავს არაკომფორტულად აგრძნობინებს. მის სიმტკიცეს გზარი უჩნდება. მოშორებით გადის.)* დაივიწყე.

როტკო: ასე ადვილად ნუ დანებდები!

კენი: ეს თამაში არ არის.

როტკო: შენ ერთ მნიშვნელოვან საკითხს გაუსვი ხაზი, მაგრამ არა იმას, რომელიც გგონია.

კენი: ცხადია.

როტკო: ნამდვილად მაწუხებს როგორ აღიქვამენ ჩემს ნახატებს ადამიანები. თუ ისინი ულმობლად მოიქცევიან ... ნახატის გაყიდვა იგივეა, რაც ბრმა ბავშვის ოთახში შეყვანა, რომელიც რომელიც სავსეა სამართებლებით. ის ხომ აუცილებლად დაშავდება, როცა იქამდე არასდროს დაშავებულა და არც კი იცის, რა არის ტკივილი. *(გარშემო ნახატებს უყურებს.)* ამიტომაც

ვცდილობ, რომ ახლანდელი ნახატებით რაღაც განსხვავებული გავაკეთო. ისინი ახლა ნაკლებად დაუცველნი არიან, უფრო გაძლიერდნენ, მიწისფერი ტონებიც შევმატე, რაც მათ კიდევ უფრო განამტკიცებს. და ისინი *მარტო* აღარ არიან. ეს მთელი სერიაა, მათ მუდმივად ეყოლებათ ერთმანეთი როგორც თანამეგზურად და დამცველად... და რაც მთავარია, ისინი ისეთ ადგილას იქნებიან, რომელიც სპეციალურად მათთვის შეიქმნა. ფიქრისა და უსაფრთხოების ადგილი ...

კენი. დაკვირვების ადგილი...

როტკო. დიახ...

კენი. ადგილი, სადაც არაფერი გიფანტავს ყურადღებას.

როტკო. დიახ...

კენი. წმინდა ადგილი...

როტკო. დიახ...

კენი. სამლოცველო…

როტკო. დიახ...

კენი. როგორც რესტორანი "ოთხი სეზონი." *(როტკო ჩერდება. კენი თავს აქნევს.)* ენდი უორჰოლს ხუმრობა მაინც ესმის.

როტკო. არა, შენ ვერ ხვდები -

კენი. ეს ძალიან გემოვნებიანი რესტორანია უზარმაზარ კორპორაციულ შენობაში, მაინც რას ვერ ვხვდები?

როტკო. ჩემს მიზანს ვერ იგებ -

კენი. შენი მიზანი უმნიშვნელოა. თუ არ აპირებ მთელი შენი ცხოვრება ამ ნახატებთან დგომასა და ლექციების ჩატარებას - რაც ალბათ ძალიან მოგეწონებოდა. ხელოვნებამ თავად უნდა იპოვოს გამოხატვის გზა, არა?

როტკო. დიახ, მაგრამ -

კენი. უბრალოდ აღიარე შენი ფარისევლობა: თანამედროვე ხელოვნების უმაღლესი მღვდელმსახური ხატავს კაპიტალისტური ტაძარის კედლებს.

ხელოვნებაში კომერციალიზმის წინააღმდეგი ხარ, მაგრამ, მეგობარო, ამით თავადაც გამოიმუშავებ ფულს.

როტკო: რა თქმა უნდა, შეგიძლია თავი მოიტყუო, რომ რაღაც წმინდა ადგილს ქმნი ღრმა შემეცნებისათვის, მაგრამ სინამდვილეში შენ კიდევ ერთ სასადილო ოთახს ალამაზებ ძალიან მდიდარი ადამიანებისთვის და ეს ყველაფერი — *(ნახატებზე მიანიშნებს.)* — სხვა არაფერია, თუ არა მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული მოჩუქურთმებული ჩარჩო. *(ეს სიტყვები როტკოს გულზე მოხვდა. პაუზა.)*

როტკო: შენი აზრით, ამ საქმეს ხელი რატომ მოვკიდე?

კენი: რადგან თვითკმაყოფილება მოგგვარა.

როტკო: როგორ?

კენი: შესაძლოა, დე კუნინგისთვის შეეთავაზებინათ, მაგრამ შენ აგირჩიეს... ეს ხომ სიქსტეს კაპელას შემდეგ ყველაზე ბრწყინვალე შემოთავაზებაა მხატვრისათვის.

როტკო: შენ უარს იტყოდი?

კენი: დაუფიქრებლად.

როტკო: სათქმელად მარტივია.

კენი: იცი რა ეს არის? შენი კაბრიოლეტი ოლდსმობილი… კარგი რა, შენ ხომ ფული არ გჭირდება. საჯაროობაც არ გჭირდება. სიგრამის კორპორაციის გამო რატომ აპირებ პირფერობას?

როტკო: ამ საქმისთვის გაუაზრებლად არ მომიკიდებია ხელი. ბევრი *ვიფიქრე.*

კენი: რთული წარმოსადგენია.

როტკო: და, რა თქმა უნდა, ამან თვითკმაყოფილება მომგვარა, მეც ხომ ადამიანი ვარ. მაგრამ მაინც ვყოყმანობდი… ზუსტად იგივე ფიქრების გამო: იქნება თუ არა უზნეობა? იქნება თუ არა ამორალური? ან მხოლოდ ბურჟუაზიის სურვილების დაკმაყოფილება? უნდა გადავდგა ეს ნაბიჯი თუ

არა? ... მე ჯერ კიდევ ვფიქრობ, როგორი იქნება ჩემი ნახატები ევროპაში ჩემი გამგზავრების შემდეგ. ისე მოხდა, რომ ფლორენციაში, მიქელანჯელოს მედიჩების ბიბლიოთეკაში აღმოვჩნდი. შენ ყოფილხარ?

კენი: არა.

როტკო: როცა წახვალ, აუცილებლად მოძებნე კიბე, დამალულია. ერთი პატარა ვესტიბიულია, სარდაფი გეგონება, იმდენად ვიწროა, მაგრამ სამ ნაწილიან სართულადაა დაყოფილი. მიქელანჯელომ ამ სივრცის სივიწროვის მიუხედავად შექმნა ყალბი კარები და ფანჯრები მთელს კედელზე, მართკუთხა ფორმები მრავალფეროვან წითელ და ყავისფერ ტონალობებში ... მოკლედ, სულ ესაა ... მან ზუსტად იმგვარი განცდა შექმნა, როგორიც მე მინდოდა "ოთხი სეზონისთვის." ის მაყურებლებს ისეთ შეგრძნებას უტოვებს, რომ თითქოს ოთახში გამომწყვდეულები არიან, სადაც ყველა კარი და ფანჯარა დახშულია, ასე რომ, მათ არანაირი გამოსავალი არ რჩებათ. *(კენს მიუბრუნდება)*. თავადაც ვიცი, რომ იმ ადგილას ნიუ იორკის ყველაზე მდიდარი არამზადები მოვლენ ჭამისა და თავმოწონებისათვის... და იმედი მაქვს, რომ თითოეულ მათგანს მადას დავუკარგავ.

კენი: ამას სიგრამის წარმომადგენლებთანაც ამბობ?

როტკო: დიდი კომპლიმენტი იქნებოდა, თუ ნახატებზე უარს იტყოდნენ. თუმცა ამას არ იზამენ. *(კენი დაფიქრდება ამაზე. პაუზა.)* დალევ რამეს?

კენი: *(გაკვირვებული.)* რა თქმა უნდა. *(როტკო ასხამს ორი ჭიქა ვისკის. ერთს კენს მიაწოდებს. პაუზა.)* არ ვიცი...

როტკო: რა?

კენი: არ ვიცი დაგიჯერო თუ არა.

როტკო: რასთან დაკავშირებით?

კენი: *(ნახატებზე.)* ისინი - თქვენი ბოროტული განზრახვის ნაწილია. მოხუცი ლომი კვლავ ღრიალებს, ისევ ცდილობს პროვოცირებას, აქტუალურობის შენარჩუნებას, და თანაც ბურჟუაზიის წინააღმდეგაა- ამაში

აზრი არ დევს.

როტკო: ზედმეტად რომანტიკულად გეჩვენება?

კენი: დიდი სისასტიკეა მათ წინაზე. შენი ნახატები იარაღი არაა. ამას არასდროს გააკეთებდი, არასდროს დააკნინებდი ამ დონემდე. შესაძლოა, თავიდან ზუსტად ეგ განზრახვა გამოძრავებდა, მაგრამ... შემდეგ ხელოვნებამ თავისი გზით წაგიყვანა… შენც ვერაფერი გააწყვე. აი, ასე მოხდა. ასე რომ ახლა გაჭედილი ხარ. საკუთარი თავი კუთხეში მიიმწყვდიე, მომიტევე ასეთი საუბრისთვის. *(კენი მოშორებით გადის. როტკო კვლავ გაშეშებული დგას. არ ვიცი, რა გააკეთოს.)*

როტკო: არა, ცდები. *(კენი არ პასუხობს.)* მათი ძალა გასცდება იმ გარემოს. ერთად მუშაობით, სინქრონული მოძრაობით, ერთმანეთთან ჩუმი მეტყველებით, ისინი მაინც შექმნიან შესაბამის გარემოს. *(მის სიტყვებს სიღრმე აკლია.)* შენ ფიქრობ, რომ თავს ვიტყუებ, არა? *(კენი პასუხს არ სცემს.)* მიპასუხე. *(როტკო კენს უყურებს.)* მიპასუხე.

კენი: დიახ. *(როტკო კენს თვალს არ აშორებს. პაუზა.)* სამსახურიდან მიშვებთ, ხომ?

როტკო: გიშვებ? ... პირველად მოხდა, რომ შენი არსებობა იგრძნობა. *(როტკო ვისკის დაცლის, იღებს ქუდსა და პალტოს.)* ხვალ შევხვდებით. *(მიდის. კენი დადუმებული დგას და ცოტა გაოგნებულია. შემდეგ ნაბიჯს წინ გადადგამს და ცენტრალურ ნახატს აკვირდება. ხელში ჭიქა ვისკით დგას და თავს აქნევს, როტკოს მანერების მსგავსად.)*

V მოქმედება

ოთახი თითქმის სრულ სიბნელეშია. ფირსაკრავიდან ხმამაღალი კლასიკური მუსიკა ისმის. როტკო იატაკზე უღონოდ ზის და ცენტრალური სურათისკენ იყურება. მის გვერდით ვისკის ბოთლი და წითელი საღებავის სათლია. დიდი ხანია სვამს, მაგრამ არ დამთვრალა. სიბნელეში თითქმის არ ჩანს. გრძელი პაუზა. შემოდის კენი.

კენი. *(ხმამაღალი მუსიკის ფონზე.)* შეიძლება მუსიკას დავწიო?

(როტკო არ პასუხობს. კენი მუსიკას დაუწევს. შემდეგ კიდევ რამდენიმე ნათურას ანთებს. შეჩერდება - შემაძრწუნებელი სანახაობაა - როტკოს ხელები და მკლავები წითელშია დასვრილი. საღებავია, მაგრამ სისხლს წაგავს. კენი ფიქრობს, რომ როტკომ მაჯები დაისერა.) ო, ღმერთო...

როტკო. დახატვას ვაპირებდი.

კენი. აშკარად... იესო ქრისტე... გინდა ტილო ან რაიმე? იქნებ ფუნჯი?

(კენი წყლით სავსე სათლს იღებს. როტკოს ხელებს წმენდს. პაუზა.)

როტკო. იქ ვიყავი.

კენი. სად?

როტკო. "ოთხ სეზონში."

კენი. ააჰ.

როტკო. ჩვენი "გუშინდელი საუბრის" შემდეგ... იქ წავედი. სავახშმოდ.

კენი. ააჰ.

როტკო. უკვე რამდენიმე კვირაა გახსნილია, ვიფიქრე, საბოლოოდ უნდა დამეთვალიერებინა...

კენი. და... ? *(როტკოს თავი ძლივს უჭირავს.)*

როტკო. *(იხსენებს.)* ორმოცდამეთორმეტე ქუჩიდან მიდიხარ... მერე კიბეს აივლი რესტორნამდე... ვიდრე ოთახს დაინახავ, ჯერ ხმები *გესმის.* ჭიქების

წკარუნი, დანა-ჩანგლის ხმა, ლაპარაკის ხმაც. თავიდან თითქოს ჩუმია, მაგრამ რაც უფრო ახლოს მიდიხარ, ძლიერდება. ეს სასოწარკვეთილი ხმებია, თითქოს იარაღმიბჯენილები იძულებით მხიარულობენ… როგორც კი შედიხარ, ხვდები, რომ შეუფერებლად გაცვია, გეჩვენება, რომ მსუქანი ხარ და ამ ადგილისთვის თავს ზედმეტად ებრაელად გრძნობ. ამბობ შენს სახელს. ლამაზი თანამშრომელი ისე გაკვირდება, თითქოს ამბობს: "ვიცი, ვინც ხარ, და ვერ გამაოცე, აქ მილიონერები დადიან, მეგობარო." ის მეტრდოტელს ანიშნებს, რომელიც, თავის მხრივ, ანიშნებს უმცროს ოფიციანტს, რომელიც მთავარ ოფიციანტს გადასცემს შეტყობინებას, რომელსაც შენს მაგიდამდე მიჰყავხარ. ამას მოჰყვება თავების ტრიალი, ყველა ერთმანეთს უყურებს გამუდმებით, და მტაცებლებივით- ვინ ხარ? რა ქონების პატრონი ხარ? უნდა მეშინოდეს შენი? უნდა შეგიძინო?[6]... შემდეგ ბიჭი მოდის ღვინით ხელში, ფრანგულად ლაპარაკობს, თავს არაადეკვატურად გრძნობ, აშკარად მისი არ გემის, მას კი არ ადარდებს. შერცხვენილი რაღაც ძვირიანს უკვეთავ მასზე შთაბეჭდილების მოსახდენად. ის მიდის, კვლავაც გულგრილი. და მერე... ძალაუნებურად იმის მოსმენას იწყებ, რასაც გარშემო ამბობენ… და რაც ყველაზე უარესია... *(პაუზა.)* ეს ხმები... მაიმუნების ყვირილივითა და ტურების ყმუილივით გაისმის. ადამიანური ხმები არ არის... და ყველანი ჭკვიანები არიან და ყველანი იცინიან და არავინ არაფერს უყურებს და არავინ არაფერზე ფიქრობს, და მხოლოდ ყვირიან და ყმუიან და ჭამენ. და დანებისა და ჩანგლებს წკარუნი და ყაყანი და მკვახე სიტყვები და კბილების ღრჭიალი და ღრენა. *(პაუზა.)* და იმ ადგილას - *იქ* - იცხოვრებენ ჩემი ნახატები მარადიულად. *(პაუზა. საბოლოოდ, როტკო კენისკენ ბრუნდება.)* მაინტერესებს... როგორ ფიქრობ, ოდესმე მაპატიებენ?

[6] ერთდროულად იგულისხმება "ბრენდირებული ადამიანი" და მისი შემოქმედებაც. პროდუქტად ქცეული სახეები და კაპიტალისტური სამყაროს უკონტროლო სურვილი, რომ ყველაფერი შეიძინონ, რაზეც ფულის დახარჯვა შესაძლებელია.

კენი. ისინი უბრალოდ ნახატებია. *(კენი როტკოს მისჩერებია. ეს თითქოს გამოწვევაა. როტკო თვალს არ აშორებს. პაუზა. და შემდეგ როტკო, როგორც ჩანს, გადაწყვეტილებას იღებს. ის მიდის არეულ დახლთან და ტელეფონს იღებს. ძველ წიგნაკში ეძებს ტელეფონის ნომერს.)*

როტკო. *(ფირსაკრავის ფონზე.)* გამორთე. *(კენი თიშავს ფირსაკრავს. როტკო კი ტელეფონზე რეკავს.)* მისტერ ფილიპ ჯონსონი, თუ შეიძლება. მარკ როტკო გიკავშირდებათ. *(ცოტახანს იცდის, შემდეგ:)* ... ფილიპ, როტკო ვარ. მომისმინე, წუხელ სავახშმოდ ვიყავი რესტორანში და რაღაც უნდა გითხრათ, ამ ტიპის რესტორანში, სადაც ადამიანები ამდენად დიდ თანხას ხარჯავენ და ასეთ კერძებს ჭამენ, ჩემ ნახატებს არასოდეს შეხედავენ. ფულს უკან გიგზავნით და სურათები უნდა დავიბრუნო. არ გეწყინოთ. ასეა საჭირო. წარმატებები, მეგობარო. *(ყურმის კიდებს ბედნიერი დასასრულით.)*

კენი. *(ამაყად.)* ახლა... ახლა შენ ნამდვილად მარკ როტკო ხარ.

როტკო. მხოლოდ უფრო ღარიბი.

კენი. ფულის ქონა არ ნიშნავს სიმდიდრეს.

როტკო. მაგრამ მაინც კარგია.

კენი. ტაჰ, შესანიშნავი დღეა, ჩვენ უნდა…

როტკო. გათავისუფლებული ხარ. *(კენი ჩერდება.)*

კენი. რა?

როტკო. გათავისუფლებული ხარ. *(პაუზა. კენი თვალუწყვეტლივ უყურებს. არ სჯერა.)*

კენი. რატომ? *(როტკო დაკავებულია ნივთების დალაგებით.)*

როტკო. მნიშვნელობა არ აქვს.

კენი. აქვს.

როტკო. შენი მისამართი დაწერე, ბოლო ქვითარს გამოგიგზავნი.

კენი. განმარტება მჭირდება.

როტკო. ჩემგან ნურაფერს ელოდები - *(კენი მოსვენებას არ აძლევს. როტკო ცდილობს მის თავიდან არიდებას. კონფლიქტი ღრმავდება.)*

კენი. ორი წელი და შენ გგონია, რომ ასე უბრალოდ წავალ?

როტკო. გამოსამშვიდობებელი წვეულება გინდა?

კენი. მიზეზი მჭირდება.

როტკო. შენი საქმე არაა.

კენი. მიზეზი უნდა ვიცოდე.

როტკო. მომისმინე, შენ ძალიან მომთხოვნი ხარ, გაიგე? მე ეგ არ მჭირდება. შენი მოთხოვნილებები არ მჭირდება. მას შემდეგ რაც შვიდი წლის გახდი გამუდმებით სახლს ეძებ - ეს სახლი არ არის, და არც მე ვარ მამაშენი. ის მკვდარია, გახსოვს? სამწუხაროა, მაგრამ ასეა. (კენი არ ნებდება.)

კენი. მოდი, დოქტორო ფროიდ. უკეთ შეგიძლია. რა არის მიზეზი?

როტკო. გითხარი.

კენი. რატომ?

როტკო. იმიტომ, რომ მე არ მჭირდება ასისტენტი -

კენი. სისულელე.

როტკო. იმიტომ, რომ შენ ძალიან ბევრს ლაპარაკობ -

კენი. შენც.

როტკო. იმიტომ, რომ უვარგისი გემოვნება გაქვს -

კენი. სისულელე.

როტკო. იმიტომ, რომ უკვე თავი მომაბეზრე -

კენი. სისულელე - *(როტკო შებრუნდება და გარეთ მიუთითებს.)*

როტკო. *იმიტომ, რომ შენი ცხოვრება, აი, იქ არის! (პაუზა.)* მომისმინე, ბავშვო, ჩემთან მეტი დროის გატარება არ გჭირდება. შენი თანატოლები უნდა იპოვო და შექმნა შენი საკუთარი სამყარო, შენი ცხოვრება... ახლავე უნდა გახვიდე გარეთ, ჩაუღრმავდი, დაუპირისპირდი, შენი ხმა გააგონე… *(როტკო უახლოვდება და ხელს ჩაავლებს.)* საკუთარი თავი დაანახე. *(კენი*

აღელვებულია. როტკო მშვიდად განაგრძობს.) როცა შენს ასაკში ვიყავი, ხელოვნება მარტოსული რამ იყო: არც გალერეები, არც კოლექციონერები, არც კრიტიკოსები, არც ფული. არც მენტორები გვყავდა. არც მშობლები. მარტონი ვიყავით. მაგრამ შესანიშნავი დრო იყო, რადგან არაფერი გვქონდა დასაკარგი და საკუთარი ხედვა უნდა გვეპოვა. (პაუზა.) გასაგებია?

კენი: გასაგებია. *(პაუზა.)* მადლობა. *(როტკო კენს გულზე ხელს ადებს.)*

როტკო: შექმენი რამე ახალი. *(როტკო მოშორებით გავა. კენი თავის ნივთებს აგროვებს და მიდის. კართან ჩერდება. უკან ბრუნდება. თვალს შეავლებს ნახატებსა და როტკოს უკანასკნელად. ცენტრალური ნახატის ფონზე:)* რას ხედავ? *(კენი უყურებს ნახატს. შემდეგ კი როტკოს შეხედავს. პაუზა.)*

კენი: წითელს. *(პაუზა. კენი მიდის ფირსაკრავთან და გრამფირფიტას დებს. კლასიკური მუსიკა გაჟღერდება. კენი მიდის. როტკო ცოტა დაკარგული ჩანს. ის მიდის ცენტრალურ ნახატთან და უყურებს. პაუზა. როტკო მარტო დგას.)*

პიესის დასასრული